სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] ащ. 199. Редакція „Эртоба" [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 221 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 221

ღრმად დამწუხრებულნი: დედა—ეფროსინე, მეუღლე—ქსენია, დები—ოლღა, ნინა და ლიუბა, რძლები—ნადეჟდა და როზეტა, ძმები—ვლადიმერ, ივანე, ილია და კონსტანტინე და სიძე სამსონი აუწყებენ ნათესავთ და და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას

ალექსანდრე სიმონის ძე წივწივაძისას

პანაშვიდები ყოველ დღე: დილის 12 საათზე და საღამოს 6 საათზე (ალექსანდროვის ქუჩა № 16) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ლუარსაბ ივანეს ძე და შვილი მისი ვანიჩქა, დედამთილი ელპიტი სამსონაძენი, დედმამა ყირიმია და ბუბუნია, და ტასო კაჭარავები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 ოქტომბერს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

მაშო (მარია) ყირიმის ასული სამსონაძისას

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში 12 საათზედ ქ. ლანჩხუთში.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ზაქრია პაპოს ძე მახარაშვილი, შვილები ელენე, მარიამ და ოლიჩკა მახარაშვილები და ძმა იორდანე სიმონის ძე თეთრაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს 16 ოქტომბერს (ახალი სტილ.) დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი, ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროვოდ დაკარგულ ძვირფასს

დარი (დარიკო) სიმონის ასული მახარაშვილის

მოსახსენებლად. პანაშვიდის დასაწყისი 11 საათზედ.

ცოტა ხნის ავადმყოფობის შემდეგ ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა

იაკინთე გაბრიელის ძე გოლქვაძე

რასაც უღულითადესი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს და ამხანაგებს. ძმები ალექსი და სოლომონ, რძალი პატკუ (ნინა) გიორგის ასული ტ ტასო, ძმისწულები ვენერა და ლეონორა, დამიანე, გერასიმე, დები მართა და კესა. ცხედარს გამოასვენებენ ქალაქ ოზურგეთიდან 16 ოქტომბერს. დაკრძალავენ ს. მიქელ-გაბრიელში. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ნათესავები ავქსენტი ყარამანის ძე ჭელიძე, კოტე ალექსის ძე ჭელიძე, თეკლე ალექსის ასული ბუაძისა, მარია თომას ასული ჭელიძე, თომა, ალექსი, სოლომონი და სვიმონი ფირონის ძენი ჭელიძენი, ალექსი და დათიკო სტეფანეს ძე დვალები, რისიმე ზერუჩაშვილის ასული დვალისა, ევგენი ნიკოლოზის ძე დვალი და ოტია ბეჟანის ძე ჭელიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხუთშაბათს 17 ოქტომბერს დილის 10 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის სახალხო გვარდიის ტყვიისმფრქვეველთა რაზმის ს. ხელოვან მებრძოლ—უფროსის

სეფე მინას ძე ჭელიძის

სულის მოსახსენებლად და საპატივცემოდ, რისთვისაც სთხოვენ ყველა თანამგრძნობთ, რომ მობრძანდენ და დაესწრონ ამ დღეს.

ქართული ლატარია

5,000,000 მან.

ქართული უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ

პირველი მოგება 100,000 მანეთია.

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

## გერმანია

გერმანიის ფართო მასის წინააღმდეგ მთელი ქვეყანა აზხედრებულა და მის განადგურებას მოითხოვს. მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის განახლებულმა დემოკრატიულმა მთავრობამ დემოკრატიული ზავის პირობები წამოაყენა და ამ ნიადაგზე მოითხოვა მსოფლიო ომის მოსპობა—შეთანხმების სახელმწიფოების იმპერიალისტები ასეთ წინადადებას არ იღებენ და იარაღით სურთ გეგემონიის მოპოვება.

მათ ასეთ სურვილებს ეფარებიან სხვა და სხვა ქვეყნის „ინტერნაციონალისტები" და გერმანიის ნანგრევებზე ცდილობენ თავიანთ ქვეყნის იმპერიალისტური საზღვრების აღდგენას.

ერთნიც და მეორენიც მწარეთ სცდებიან და ისინი ვერ მოესწრებიან გერმანიის დემოკრატიის გათელვას და მისი ინტერესების დასამარებას. ვერ მოესწრებიან, ვინაიდან მთელი ქვეყნის დემოკრატიის სიმპატია, ჭეშმარიტ სოციალისტების იმედები გერმანიის ხალხისაკენ არის.

თვით გერმანიის დემოკრატია—განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა, თავის სამშობლოს, თავის საკუთარ ქვეყანას ამ ჟამათ მედგრათ დაიცავს და იგი არავითარ ცამლუპველ უტოპიას არ მიეცემა.

ახლა გერმანიაში თავისი საკუთარი ტერიტორიის, საკუთარი ხალხის ინტერესების დაცვის სურვილი გაათკეცებულია და ამ სურვილს გარეშე უხეში ძალა ვერ მოსპობს.

ის მემარცხენე მიმდინარეობა, რომელიც გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიაში არსებობს დღეს გერმანიის თავდაცვის უფლებას აღიარებს და მემარჯვენე სოციალისტებთან ერთად მედგრათ დაიცავს მას.

თავდაცვის უფლებას, მის საჭიროებას სოციალდემოკრატია არას დროს არ უარყოფდა და მას არც ამ ჟამათ აუქცევს ზურგს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიის ხალხმა დემოკრატიული ზავი მოითხოვა და მის გულწრფელ მოსარჩლეთ გამოვიდა. გერმანიის დემოკრატია იმდენათ არის შეგნებული და გათვითცნობიერებული, რომ ამ დიად პრინციპის დაცვა და ცხოვრებაში გატარება შეუძლიან. მართალია იგი თავდასხმას ერიდება, მაგრამ ამავე დროს არ უარჰყოფს გარეშე მტრის თავდასხმის მოგერიებას. იგი ამ თავდაცვას დროს და გარემოების მიხედვით აწარმოებს და პირობების დაგვარათ მოქმედებს.

წარსულ საუკუნის 1871 წლებში, სახელდობრ გერმანია საფრანგეთის ომის დროს, მარქს-ენგელსი ომის პირველ სტადიაში გერმანიის დემოკრატიას თავდაცვისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ, როცა გერმანიის ჯარებმა საფრანგეთი გადალახეს, სედანთან გაიმარჯვეს, იგივე მარქსი და ენგელსი საფრანგეთის დემოკრატიას თავდაცვისაკენ მოუწოდებდენ და გერმანიის იმპერიალისტებს ბრძოლას უცხადებდენ.

დღეს მდგომარეობა უფრო სერიოზულია და გერმანიის ხალხს ახლა მეტი ხიფათი მოელის. მას გარს არტყია მთელი ქვეყნის იმპერიალისტები, რომლებიც მიუხედავათ იმისა, რომ გერმანია დემოკრატიულ ზავს მოითხოვს, მაინც მის განადგურებას ეტრფიან.

სწორედ ასეთ პირობებში ყველა ქვეყნის დემოკრატიის ინტერესები გერმანიის გამაგრება განმტკიცებისაკენ იქნება და მის დამარცხებას არც ერთი ჭკუათამყოფელი, სინდისიერი ლიბერალიც კი არ მოისურვებს.

გერმანიის დემოკრატია და მისი თანამედროვე საზავო მოთხოვნები ქვაკუთხედია, რომელზედაც უნდა აშენდეს მომავალი მშვიდობიანობა და საერთაშორისო საგარეო პოლიტიკა.

თუ მარქს-ენგელსი წარსულ საუკუნის ნახევარში გერმანიის რუსეთის აბსოლიუტიური წყობილების წინააღმდეგ გამარჯვებაში, გერმანიის დემოკრატიის უდიდეს გამარჯვებათ სთვლიდა და გერმანიის დემოკრატიის დნეპრის ნ პირებამდის გაძლიერებას უსურვებდა.

დღეს გერმანია უკეთეს პირობებში იმყოფება. გერმანიის მთავრობაში დიდი ცვლილება მოხდა, პარლამენტია ახლა ყველაფერი. პარლამენტში სოციალ დემოკრატები უძლიერეს პარტიას შეადგენენ და განახლებულ მთავრობაშიაც ისინი თითქმის ხელმძღვანელ როლს თამაშობენ. უკანასკნელმა ამ საერთო იმპერიალისტურ მისწრაფების ხანაში დემოკრატიული ზავი წამოაყენა და მის წინააღმდეგ ამხედრებულია ამერიკის მილიარდების მთავრობა, მათი სულ ის ჩამდგმელი პრეზიდენტი ვილსონი. აი ასეთი ყავს-ყორნები თავს დასტრიალებენ გერმანიის დემოკრატიას და მისი გულწრფელი მეგობრები ჯერ-ჯერობით თითქმის არსად სჩანს. მხოლოდ ნამდვილი დემოკრატები და გულწრფელი სოციალისტები არიან, რომლებიც ამ ჟამათ გერმანიის დემოკრატიას მედგრათ მხარს უჭერენ და მის განმტკიცებას მოითხოვენ.

სხვათა შორის საქართველოს დემოკრატიის მთელი სიმპატია ამ ჟამათ გერმანიისაკენ არის და იგი მთელი თავისი გატაცებით მას მხარს უჭერს.

თავიდანვე ჩვენი მამათმთავრები ევროპის დემოკრატიის გაძლიერება-გამარჯვებაზე დიდ იმედებს ამყარებდენ. ახლა ამ დემოკრატიის გამარჯვებას ხელმძღვანელობს გერმანიის შეგნებული და შეკავშირებული დემოკრატია. გერმანიის დემოკრატიას და მის ხელმძღვანელ სოციალ დემოკრატიულ პარტიას შეუძლიან საფრანგეთ-ინგლისის დემოკრატია შეაკავშიროს და ასე შეერთებული ძალით შესძლონ დემოკრატიული ზავის ჩამოგდება.

ზავის ჩამოგდება ერთი მთავარი საშუალებაა რომელიც საერთაშორისო ურთიერთობას მტკიცე ნიადაგზე დააყენებს და მით იმპერიალისტურ პოლიტიკას საბოლოვოთ ბოლო მოეღება.

გერმანიის დემოკრატია მშვიდობიანობისა და უდიდეს პროგრესის პირველ მოციქულათ გამოვიდა და ყველა ჭეშმარიტ სოციალისტის სიმპატია მისკენ არის.

გერმანიის დამარცხება მთელი დემოკრატიული ევროპის დამარცხება იქნება, რასაც კაცობრიობის კულტურის უკან დახევა მოჰყვება.

## პრესა

„სახალხო საქმე"-ს შეუტოპავს ოცნების სამეფოში. იგი უკვე ოცნებობს არა მარტო ახალციხე-ბათუმის დაბრუნებაზე, არამედ თვით ლაზისტანის საკითხის დასმაზეც. არა გჯერათ, რომ სერიოზულ პარტიას დღევანდელ პირობებში ასეთი ლაღი ფანტაზია ქონდეს? აბა მოუსმინეთ (სახ. საქ. № 357):

„ისეთი ობიექტიური მდგომარეობა შეიქნა პალესტინასა და ევროპაში, რომ ერებმა მთლიანად უნდა დაიბრუნონ, რაც მათ სამართლიანად ეკუთვნის. ამ პირობების მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, ოსმალეთი საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებისათვის არა თუ დროზე არ დაცლის ბათუმსაც, ლაზისტანზედაც უნდა დაისვას საკითხი, სადაც ქართველ ერის ღვიძლი შვილები ცხოვრობენ".

ეჰ! რა კარგია ოცნება! მაგრამ რა მოაქვს მას? მხოლოდ იმპერიალისტურ გრძნობათა გაღიზიანება, მეტი არაფერი. დემოკრატიის სახელს კი იგი არ შეეფერება.

***

სამაგიეროთ, „სახ. საქმე" დიდ რეალისტობას ჩემულობს ადგილობრივ კითხვების გადაჭრაში. პარასკევის სხდომაზე პარლამენტში დასმული იყო საკითხი უმცირესობის ენის ხმარებისა პარლამენტში. ეს უნდა გადეწყვიტა რეგლამენტს; ე. ი. უნდა მოგვარებულიყო როგორმე მრავალ ეროვან პარლამენტში რაც შეიძლება ნაკლები რიცხვი ენების ხმარება. ამას ემსახურებოდა კომისიის უმცირესობის მიერ შემოტანილი კანონ პროექტი, რომელსაც პარლამენტის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. „სახ. საქმე" ამას კანონის დარღვევას უწოდებს, თუმცა იურიდიულათ ამის საბუთი არ აქვს, რადგან რეგლამენტი კანონის ფარგლებს ენათა ხმარების შესახებ არ გასცილებია მას არც ახალი ენა შემოუღია, არც ძველები გაუდევნია, არც პარალელური ენა შეუქნია. მან მხოლოდ უმცირესობათა წარმომადგენელთ საშვალება მისცა მიღებულ ენათა შორის ის ეხმარათ, რომელიც ნაკლებ ტეხნიკურ დაბრკოლებებს გამოიწვევდა პარლამენტისათვის.

ეს რასაკვირველია, ნიშნავს რუსული ენის ხმარებას ეროვნულ უმცირესობისაგან. და სწორეთ ამ ფაქტმა გააბრაზა წინააღმდეგნი. რუსული ენა მათთვის ჩაგვრის მომაგონებელი ენაა. იგი მეფე ნიკოლოზს ქონდა სახმარებელ ენათ, იგი იმ ერის ენაა, რომელსაც გამოვეყავით. იგი ის ენაა, რომელზედაც დიდი კულტურული წინსვლა განვიცადეთ. რათ უნდა ვდევნოთ ეს ენა განსაკუთრებულათ? მხოლოდ ნაციონალისტური მოსაზრებებით? მაშ ხვალ რომ გერმანიას დავშორდეთ, გერმანულსაც უნდა ასეთი დევნა დავუწყოთ? ეს ხომ ველურობაა, რომელსაც ომის დასაწყისში ქონდა ადგილი შოვინიზმით გაჟღენთილ საზოგადოებრივ წრეებში, მაგრამ რომელსაც განათლებული კაცობრიობა ყოველთვის გმობდა და იწუნებდა. საქართველოს დემოკრატია ასეთ შოვინიზმს არ საჭიროებს. და ჩვენ არ შეგვეშინდება არც რუსული ენის ხმარების. მაგრამ „სახ. საქმე" ისეთ რამეს გვაბრალებს, რაც ჩვენი აზრით, არ ჩაგვიდენია:

ჩვენ თურმე გვსურვებია, „რომ ქართულ პარლამენტში მოქალაქობრივი უფლება მოეპოვებია რუსულ ენას, როგორც სახელმწიფოებრივ ენის პარალელურ ენას... როგორც სახელმწიფო ენასთან თანასწორი უფლების გატარება ენას".

ეს სიმართლეს მოკლებულია. ასეთი პარალელური თანასწორ-უფლებიანი მდგომარეობა ქართულთან არც ერთი ენისათვის არ მიგვინიჭებია და მათ შორის არც რუსულისთვის. ჩვენ მხოლოდ ვცდილობდით შეტანილიყო კანონში გარდა დედაენისა უფლება რუსული ენის ხმარებისაც, რადგან ეს ტეხნიკურათ უფრო მიზანშეწონილია და ეს ჩვენ რეგლამენტის წესით გავიყვანეთ, ე. ი. არა, როგორც უფლება, არამედ როგორც ტეხნიკურათ უფრო ადვილი სახმარებელი საქმიანობის თვალსაზრისით. „სახ. საქმე" ამის გამო ჩვენ ასე გვამკობს:

„ფრაქციამ თავისი სიჯიუტე და პარტიული გაუტანლობა პარლამენტარულ ტრადიციებზე მაღლა დააყენა და უხეში ძალით, მექანიკურის უმრავლესობით მოისურვა აბუჩად აგდება არა მთელი დანარჩენი დემოკრატიული სექტორისა, არამედ თვით პარლამენტის მიერ მიღებული კანონისაც კი.

ეს უკვე ახალი ტონია სოციალდემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკისა; ტონი განკერძოვებისა და სურვილი მხოლოდ თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობისა საკანონმდებლო მუშაობაში და ალბად მართვა-გამგეობის საქმეშიაც.

თუ ეს ასეა, თუ სოციალდემოკრატიული ფრაქციისთვის ფასი მხოლოდ იმ მექანიკურ უმრავლესობასა აქვს, რომელიც მათა ყავთ, მაშინ ძალაუნებურად იბადება საკითხი: იქნება მათ ჰ ურთ დემოკრატიული ფრონტი დაარღვიონ და თავიანთი, სოციალდემოკრატიული დიქტატურა გამოაცხადონ? ან იქნება ფრაქციას ჰგონია, რომ ის, რაც პარლამენტის მორიგ სხდომაზე მოხდა, არ არის დარღვევა კოალიციის იდეისა, არ არის დარღვევა იმ პლატფორმისა, რომელზედაც დღესა სდგას ჩვენი მთავრობა?

ნუ თუ ამას ვერა ჰგრძნობს სოციალდემოკრატიული ფრაქცია და, თუ ჰგრძნობს, რით აპირებს იგი იმ უხეში ძალადობის შედეგის მოსპობას, რომელმაც თავი იჩინა მორიგ სხდომაზე?"

ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო ამაზე იტყვიან. პარლამენტის მუშაობის მთელი პასუხისმგებლობა ს. დ. აწევს კისერზე. როცა რომელიმე პროექტი ან პრინციპიალური წინადადება შემოდის, ყოველი პარტია მზათაა თავის პარტიული ინტერესების მიხედვით ისეთი პოზიცია დაიჭიროს, როგორიც მას გამოადგება, და არა ისეთი, როგორსაც სახელმწიფო აღმშენებლობის ინტერესი მოითხოვს.

ამ ენის საკითხშიაც, ისინი რუსულ ენას გაებუტენ, თუმცა იგი პარლამენტში სახმარ ენათ თვითვე მიიღეს კანონით. რუს უმცირესობას შეუძლია რუსულათ ილაპარაკოს. ეს მისი უფლებაა, მაშასადამე ენა რუსული პარლამენტში შემოსულა. მაგრამ ამ ენის ხმარებას იგინი სასტიკათ უკრძალავენ სხვა ერისაგან არჩეულთ. რათა? ზოგნი ენის სიმძულვარით, ზოგნი კი ნაციონალისტური პოლიტიკის თვალსაზრისით; დემოკრატიზმი აქ უკუგდებულია: ვინაიდან დემოკრატიზმი ასეთ აკრძალვას რუსული ენისას არ მოითხოვს. და დემოკრატიის სახელით ამას ვერავინ უარყოფდა.

აქედან ცხადია, თუ ვინ დაარღვია დემოკრატიული ფრონტი, ჩვენ რომელნიც დემოკრატიულ პოზიციაზე ვიდექით, თუ იმ წოკავშირე პარტიებმა, რომელნიც ნაციონალურმა ქინიანობამ გაიტაცა. და ახ, რაც პარასკევის სხდომაზე მოხდა, ის არის დარღვევა კოალიციის, მარა დარღვევა ესერებისა და ს. ფედერალისტებისაგან, და არა ს.-დ—ებისაგან:

რაც შეეხება „საკუთარ ძალებზე დაყრდნობას, სოც.-დემ. იძულებულია მართლაც დაეყრდნოს თვის ძალებს, რაც „მეგობრები" ასე თვით ეთიშებიან ამა თუ იმ საკითხში. ხოლო თვის ძალაზე დაყრდნობა, ძალადობას არ წარმოადგენს, ეს ნუ თუ ს. ფედერალისტებმა არ უნდა იცოდენ? მაშ რათ დასჭირდათ ასეთი მაგარი სიტყვების ხმარება ჩვენ მიმართ? ნუ თუ ესეც „კოალიციის" ნიადაგზე დგომას მიეწერება?

ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ საერთოთ პარლამენტში ს.-ფ. მეტად იცავენ კოალიციას, ვინემ სხვა პარტიები, ესერები და ალიონის ჯგუფი. ეს უკანასკნელნი აღარც კი ფიქრობენ, თუ მათ მოვალეობა აწევთ რაიმე პარლამენტის მუშაობაში. მაგრამ ამაზე ცალკე გვექნება საშვალება მოვილაპარაკოთ. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ს.-ფ. ჩვენზე ტყუილად უთითებენ, როგორც კოალიციის დამრღვევებზე. ჩვენ ვიცავთ დემოკრატიულ ხაზს და მისაგან გადახვევა და გადამხვევნი არიან კოალიციის გამთიშველნი.

## კიდევ გზათა სამინისტროს

გუშინ აღვნიშნეთ გზათა სამინისტროს უწყებაში არა სასიამოვნო მოვლენა: სასურსათო უწყების სახელზე მოსულ მარილის გადმოუტვირთველობა.

როგორც მიღებული ცნობებით გამოირკვა, გზათა სამინისტრო 25 ენკენისთვიდან უკვე გამოცალკევებულია სურსათის საქმიდან. და სურსათის მიმწოდებლად ახალი ორგანიზაცია არის შექმნილი. ცხადია, ახლა მარილის ბედზე უნდა ახალ ორგანიზაციას ეზრუნა. ამ უკანასკნელს, როგორც ახლად დაარსებულს, ჯერ ალბათ არ აქვს სრული და მოძრავი აპარატი, რომ დაუყონებლივ მარილი მიიღოს. როგორც გადმოგვცეს, არ აქვს არც თანხა, რომ მარილი გამოისყიდოს; ყველაფერი ეს შესაძლებელია ასე არის. ჩვენ სასიამოვნოთ დაგვრჩება, რომ მინისტრი თავის უწყებას არ ებრძვის, რომ ამ უცნაურ მოვლენას ჩვენში ადგილი არა აქვს. მაგრამ უწყებათა შორის ურთიერთობა და განსაკუთრებით სასურსათო უწყების მდგომარეობა რომ არა სახარბიელოა, ამაზე მკითხველი, მგონი უნდა დამეთანხმოს.

მართლაც, დღემდე მაინც მარილის მონოპოლია იყო გამოცხადებული, გარდა სამინისტროსი მას ვერავინ შემოიტანდა. რასაკვირველია თუ მას შემოტანილის გადმოტვირთვაც არ შეეძლო, რათ ეჭიდებოდა ამოდენა საქმეს? არა სჯობია ყოველმა უწყებამ მხოლოდ ის იტვირთოს, რის ატანაც შეუძლია? ხოლო უწყებები კი ერთმანეთს რომ ხელს უწყობდენ, ამით უფრო მეტს მოიგებენ და მეტ საქმესაც გააკეთებენ.

თორემ საზოგადოების ნერვები მოიღალა ამოდენის ცდით. რ.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

13 ოქტომბერი.

**ბერლინი.** სტატს-სეკრეტარმა, რომელმაც ინტერვიუ გაუკეთა ერთ გამოჩენილ გაზეთის კორესპონდენტს, შემდეგი განაცხადა: „მე არ შემიძლია თქვენ გადმოგცეთ ყველა ის, რაც გააკეთა ახალმა მთავრობამ ამ რამოდენიმე დღის სახელმწიფოს გამგეობის მოღვაწეობის დროს. არა სიტყვით და პროგრამით, არამედ მოქმედებით უნდა დავაფასოთ მთავრობა. სამი დღის ჩვენი მოღვაწეობის დროს ჩვენ გადავდგით ნაბიჯი, რომ სამხედრო ძალა პოლიტიკურად გავვემაგრებია და დაგვემორჩილებია ის სამოქალაქო უფლებისათვის. ამიტომ ამ დრომდე მყოფი სამხედრო მინისტრი ფონ შტეინი თავისი ადგილიდან უნდა გასულიყო. ის გამორიცხულ უნდა ყოფილიყო, რადგანაც შეთანხმებას მუდამ ეწინააღმდეგებოდა და მის ადგილას სამხედრო სამინისტროში იწვევენ ლიბერალს შეუხს. ახალი სამხედრო მინისტრი, რომელიც პირველიი... (გამოტიებულია... პრუსიელი ამ პოსტზე იყო ომის დაწყებიდან რეიხსტაგში და ყოველთვის იმ მოსაზრების იყო, რასაც ახალი მთავრობა ადგია. გადაყენებულ იქნენ ორი გენერალი ფონ ვალინგსოფი და გასსინიშ (გვარები გაურკვევლათაა), რომელთაც, როგორც ჩვენ ვიცით, ბრალს სდებენ თავიანთ უფლების დარღვევაში და მილიტარიზმის ნამდვილ განხორციელება იყვნენ. სამხედრო ძალა ომის დროს ემორჩილებოდეს სამოქალაქო ძალას ე. ი. რეიხს-კანცლერს. გენერალთა უფროსობის ყოველივე გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება ტერიტორიის თავმჯდომარის თანხმობისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება უმაღლესი ინსტანცია, მაშინ გადაწყვეტა სამხედრო მინისტრ შეუხისაგან არის დამოკიდებული, რომელიც თავის მხრივ თანხმობისათვის მიმართავს რეიხს-კანცლერს, რომელიც პასუხისმგებელია თავის მოქმედებაში. ამასთანავე ერთად ჩვენს ცხოვრებაში შეიჭრა სიცოცხლე, რომელიც შეუძლია შეამჩნიოს ყველა სად მოაზროვნე კაცს. ასეთივე მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ამ დრომდე კაბინეთის თავი ფონ-ბერგი სამსახურიდან უნდა გავიდეს. ახალი მთავრობის შედგენის უკმაყოფილო იყო ის, რამაც გერმანიის მეუმრავლესეთა პარტიის უსიამოვნება გამოიწვია და ამიტომ მას არ შეეძლო თავის სამსახურზე დარჩენა. შენიშვნაზე, მოშორებულია თუ არა მასთან ერთად გერმანიის მილიტარიზმი, სტატს-სეკრეტარმა ეს დაამოწმა და დაუმატა: „ამის შესახებ მე ადრევე, როდესაც მე... (გამოტოვებულია)... მაგრამ ცხოვრებათა სულიერი განწყობილება, რომელსაც ყველაფრის გადაჰრა ხმლით სურს, ასეთივე იყო პოლიტიკის სფეროშიც. ასეთი სულიერი განწყობილება ახლანდელ დროში მოუთმენელია და გერმანიამაც მოიშორა ის. ყოველ მხრივ მე, როგორც ახალი მთავრობის სხვა წევრებიც, იმ მოსაზრებას ვიცავდით, რომელსაც მე ყოველთვის ვიცავდით, ჯერ კიდევ დეპუტატობის დროსაც. ფიქრობდით თუ არა თქვენ, რომ მომავალშიაც დაიცავთ ხალხთა ლიგის აზრს? თავის თავად ცხადია, რომ მე იმის მომხრე ვარ, როგორც უწინ, რომ ხალხთა ლიგა

არის მაღალი იდეალისა და პრაქტიკული ღირებულებად. სახელმწიფოს ცხოვრებაში ინდივიდუალიზმის სისტემამ სრული ბანკროტი გამოაშკარავა. ყველა ხალხმა უარი უნდა სთქვას სხვა სახელმწიფოებთან სადავო კითხვების ძალით გადაწყვეტაზე. ამაზე უარის თქმა შეიძლებოდა შეგვედარებია იმაზე... (გამოტოვებულია)... უარს ამბობენ იმაზე, რომ თავის მეზობელს ძალით არ წაართვან საკუთრება".

**ბერლინი**. პრეზიდენტ ვილსონის საპასუხო ნოტა დღეს მიიღეს.

**გელსინგფორსი**. ფილიანდიის მეფედ არჩეულ იქნა პრინცი კარლ გესენელი.

**ამსტერდამი**. „მორნიგ პოსტი" იუწყება; მოკავშირეთა კაბინეტი ემხრობა ვილსონის დამოკიდებულებას გერმანიის წინადადებაზე. მანამ, სანამ ვილსონს არ ექნება მოწინააღმდეგის დაწვრილებითი ახსნა, მოკავშირეები პასუხს არ გასცემდენ გერმანიის წინადადებას.

**ჟენევა**. 11 ოქტომბერი. სოციალისტი დეპუტატი რაფფიკ-დუგენსი და მისი მომხრეები ხსნიან, რომ ელზას-ლოტარინგიის ავტონომია გერმანიის მხრივ დათმობითი ფასისაა. ყურადღების ღირსია კლემანსოს ტონის შეცვლა გუშინდელ ნომერში „ომ-ლიბრ" („თავისუფალი კაცი"), სადაც ის ათავებს სიტყვებით: „ჩვენ ჩვენ ვალად ვსთვლით განვიხილოთ ზავის ყოველი წინადადება. ჩვენი „არა" ისმოდეს იქნება მანამ, სანამ საერთოდ არ იქნება აღიარებული ცენტრალური სახელმწიფოების ხალხთა პოზიციის შეცვლა".

ჟენევა, 11 ოქტომბერი. გაზეთი „ტან" იუწყება, რომ მოკავშირეთა კაბინეტის შორის მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. გადამწყვეტი დადგენილება გამოტანილ იქნება ხუთშაბათს ვერსალის სამხედრო საბჭოს მიერ.

ფანკფურტი, 11 ოქტომბერი. „ფანკფურტის გაზეთი" იუწყება, რომ ნეიტრალური ცნობებით პარიზიდან იქაური მთავრობის გაზეთები აგიტაციას ეწევიან ზავის წინააღმდეგ და პროპაგანდას ეწევიან გამანადგურებელი ომის სასარგებლოთ.

გაზეთი „ეკო დე პარი"-ში იუწყებიან ვაშინგტონიდან, რომ ამერიკის პოლიტიკური წრეები ზავის წინააღმდეგ მიდიან და მოუწოდებენ ხალხს სავსებითი გამარჯვებამდე ომის წარმოებას. კანადიდან იუწყებიან, რომ იქაური პრესა მოითხოვს ომის გაგრძელებას.

**ბერლინი**. კრონპრინც - რუპრეხტის ლაშქარი. დასავლეთით დუესთან ჩვენ დავიხიეთ. მტერი საღამოთი იმყოფებოდა ვენდან ხარ ხონნის ხაზთან კემბრესთან შელდეს და ვასტომს შუა მტერმა იერიში მოიტანა. ინგლისის დივიზიის ნაწილმა განიზრახა ჩვენი ხაზის გარღვევა ვალანსენთან, რაიც ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი. მტერი გამაგრდა მხოლოთ იგუისთან. ჩვენ კონტრ იერიშებით და ჯავშნოსნებით გავაჩუმეთ მტერი. სხვა ფრონტებზე მტერს ყველგან დიდი ზიანი მივაყენეთ. ინგლისელების, ფრანგების და ამერიკელების იერიშები ბოხენთან მოვიგერიეთ. უაზთან მზვერავთა მოქმედებაა. ლაოსთან ჩვენ დავტოვეთ შემონდე-დამი. სამხრეთით ვუზიერთან ჩვენ ახალი პოზიციები დავიკავეთ.

**გალვიცის ლაშქარი**. იერთან ბრძოლაა. მტრის სასტიკი იერიშები გაასთან მათის დამარცხებით გათავდა და დიდი ზიანიც მივაყენეთ მტერს. კუნელის და ორნის ტყე, რომელიც დროებით მივატოვეთ ხელახლა ჩვენ ხელშია. ას მეთხუთმეტე დივიზიამ გენერალ კუნდის მეთაურობით მოიგერია ყველა მტრის იერიშები და თავის მიჩნეული პოზიცია არ დაუტოვებია.

**ბერლინი**. დე კატოსთან მტრის სასტიკი იერიშები მოვიგერიეთ.

**სტამბოლი**. პალესტინის ფრონტი. მტრის ცხენოსან მზვერავთა რაზმის მოქმედებაა. სხვა ყურადსაღები ფრონტზე არაფერი მომხდარა.

**ბერლინი**. რეიხსტაგი გაიხსნება 16 ოქტომბერს.

**ლუგანო**. იტალიის მთავრობამ პასუხი გასცა ნეიტრალურ სახელმწიფოების წინადადებას დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ. საომარ მოქმედების დროებით შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მტერს დავაკისრებთ ისეთ პირობების აღსრულებას, რაიც შეუძლებლათ გახდის ომის ხელახლათ განმეორებას. „ბერლინ ცეიტუნგის" აზრით საეჭვოა, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოებმა მიიღონ ასეთი პირობებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოების სურვილი ზავის ჩამოგდების შესახებ არ იქნება დაუყონებლივ განხორციელებული. სამართლიანი ზავი მოახლოვდა ეს ზავი მით უფრო მალე ჩამოვარდება, რაც უფრო მეტ სიდინჯეს გამოვიჩენთ შეთანხმების სახელმწიფოებიო.

**ამსტერდამი**. შოტლანდის ზღვის ნაპირთან დაიღუპა ამერიკელების გემი 435 ჯარისკაცით, 11 აფიცერი და 85 ჯარისკაცი გადაარჩინეს.

გაზ. „ომ-ლიბრა" სწერს დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ, რომ კამათი და გარჩევა ვილსონის საზავო წინადადებისა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ზავი მოახლოებულია—ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე მიიღებს თუ არა ჩვენს წინადადებას მოწინააღმდეგე ზავის ჩამოგდების შესახებ და ამის გულისათვის სამხედრო მოქმედების დროებითი შეწყვეტა არ არის საჭირო. პარიზის გაზეთების ცნობებით კლემანსო იმ აზრისაა, რომ ჯერ არ უპასუხოს გერმანიას ნოტაზე, არამედ შეიტყოს სამხედრო განზრახვები ცენტრალურ სახელმწიფოებისა.

**ბერლინი**. ვუკუას გარნიზონი სამაგალითოთ იბრძოდა. მტერი მათზე რიცხვით ხუთჯერ მეტი იყო, მაგრამ ჩვენები მაინც არ დანებდენ და უკანასკნელ კაცამდის იბრძოდენ.

გაზეთ „ფორვერტსი" სწერს ფრანგების სოციალისტების კონგრესის მანიფესტის შესახებ, რომელნიც თხოულობენ შეთანხმების სახელმწიფოებიდან გერმანიის საზავო წინადადების მიღებას. შეთანხმების სახელმწიფოების სოციალისტებს შემთხვევა ეძლევათ აჩვენონ და დაამტკიცონ თავიანთი სიძლიერე და სურვილი ზავის ჩამოგდებისა.

სოციალისტებს არ შეუძლიანთ ეჭვი შეიტანონ გერმანიის ხალხის სურვილში დემოკრატიულ ზავის ჩამოგდების შესახებ. გერმანიის ნოტა ამტკიცებს, რომ გერმანიის ხალხს სურს ზავის ჩამოგდება.

საფრანგეთის გაზეთ „პოპლერში" სწერია, რომ დადგა დრო, როდესაც მთავრობამ უნდა წარმოსთქვას ის სიტყვა, რომელსაც ელოდება რამდენიმე მილიონი ხალხისა. ხალხი თვალ ყურს ადევნებს ჩვენი მთავრობის მოქმედებას ალარ შეიძლება ეხლა ორ აზროვან ფრაზებით გამასპინძლება. ზავი მოახლოვებულია, ზავი კარებში გვიკაკუნებს.

ლენგუე იმავ გაზეთში არჩევს გერმანიის წინადადებას ზავის შესახებ და მოითხოვს, რომ ზავი ჩამოვარდეს.

ინგლისელების გაზეთი „მანჩესტერ-გარდიენი" სწერს, რომ დოკუმენტები, რომლებიც იბეჭდება ამერიკელების საინფორმაციო ბიუროს მიერ, იმის შესახებ, რომ ბალშევიკების ლიდერები მოსყიდულნი არიან გერმანელების მიერ არა დროს არ დაბეჭდილა ინგლისელების პრესაში. ალბათ არის რაიმე მიზეზი, რომ ეს დოკუმენტები არ იბეჭდებოდა პრესაში—მიზეზი კი ამისა ის არის, რომ ეს ცნობები საეჭვოა. ერთი დოკუმენტი შეიცავს ფულის ბარათს. მაგრამ ეს დოკუმენტის ასლი არის და არა ნამდვილი პირი, რომლის შეთხზვაც ძლიერ ადვილია.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით ბალშევიკებმა აიღეს სამარა. მუშები დიდის აღტაცებით შეხვდენ ბალშევიკებს.

**ბერლინი**. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. დღეს ორივე მხარეს ბრძოლას ვაწარმოებთ. ჩრდილო-აღმოსავლეთით კემბრესთან ჩვენ დავიხიეთ. მტერს გუშინ დაკავებული ქონდა ავენს-ლესეთან. დილით ადრე გაჩაღდა ძლიერი საარტილერიო ბრძოლა.

სოლეს ლე კატოსთან მტერმა იერიშები მოიტანა დიდი ძალებით. მან გაარღვია ჩვენი ხაზი ნეუვილთან. ჩვენ კონტრ იერიშებით მოვიგერიეთ მტერი. მტრის ხელახალი შემოტევა ბრიასტრთან მოვიგერიეთ.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. უაზთან მტერმა ძლიერი შემოტევა დაიწყო. ჩრდილოეთით ორინთან მტერმა განიზრახა ჩვენი ხაზის გარღვევა. მათ ასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ტურინგიის პოლკებმა. მტერი ყოველ მხრიდან განდევნილი იქნა. მტერმა ღამე წინსვლა განაგრძო. საღამოთი მათ მიაღწიეს ტყე სენ-გებენს. ჩრდილოეთით ელეტთან და ამიფონტენთან. მტერმა დაიკავა ასფელდ ლიავილ ავანსონ ვოშამპან ვიაზერი. მტრის რაზმი, რომელიც ლამობდა ვუზიერდან პოზიციების დაკავებას ტყვეთ წამოვიყვანეთ. მერმესთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**სტამბოლი**. ფრონტებზე არაფერი საყურადღებო არ მოახდარა.

**პარიზი**. ფრანგის ჯარებმა დაიჭირეს ლაონი, სადაც გავანთავისუფლეთ 6,500 მოქალაქე ფრანგი.

**გერმანიის პრესის ცნობა.**

გაზეთ „ნორდდეიშტენ-ალგემეინე-ცეიტუნგ" ხედავს ვილსონის კეთილშობილებას იმაში, რომ მას სურს გაიგოს ნამდვილი აზრი გერმანიის ნოტისა და შემდეგ ისე გასცეს პასუხი. პირველი. კითხვა უკვე გადაწყვეტილია: გერმანიის ხალხმა და რეიხსტაგმა მიიღო ვილსონის საზავო წინადადება, როგორც ბაზა მოლაპარაკებისა. მესამე კითხვა ვილსონისა ვისი სახელით ლაპარაკობს კანცლერი? ამ კითხვაზე კანცლერმა პასუხი გასცა რეიხსტაგში, სადაც განაცხადა, რომ მთელი ხალხის სახელით აცხადებს ზავის ჩამოგდების სურვილს.

რაც შეეხება დაპყრობილ ადგილებიდან ჯარების გაყვანას ეს კითხვა გაირჩევა რეიხსტაგის მიერ ამორჩეულ მცოდნე სამხედრო პირების მიერ. სოციალ-დემოკრატიული გაზ. „ფორვერტსი" სწერს რა წერილს ზავის შესახებ აღნიშნავს, საფრანგეთში ლონგუემ მოაგონა ზავის მოწინააღმდეგებს, რომ გერმანიას ჯერ კიდევ 11 მილიონიანი კარგათ გაწვრთნილი ჯარი ყავს. ჩვენ ყველამ უნდა შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა როგორც სახლში მყოფი აგრეთვე ფრონტზე მყოფმა ჯარისკაცებმა რათა მივაღწიოთ სასურველ ზავს. ომი რომელიც გრძელდება 4 წელი და 2 თვე არ შეიძლება ერთ საათში გათავდეს. ჩვენ ჯერ არ მიგვიღწევია ნავთსადგურისთვის. მოუთმენელ ხალხს უნდა უთხრათ, იყავით ძლიერნი და მომთმენი. შეუძლებელია, რომ სისხლის ღვრა არ მოისპოს. და რამოდენიმე თვის შემდეგ ჩვენ ვიცხოვრებთ იმ ქვეყანაში, რომელიც არ აღზრდის თავის შვილებს სისხლის საღვრელათ, ჩვენ შეძლება მოგვეცემა გამოვკვებოთ ჩვენი ოჯახები და მივიღოთ მონაწილეობა კაცობრიობის პროგრესის განვითარებაში. ჩვენ განვთავისუფლდებით იმ საშინელ განცდიდან, ჩვენ გვგონია რომ ეს უკანასკნელი ომი იქნებაო.

15 ოქტომბერი.

**ბერლინი**. სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. მტრის იერიშები არხის წინააღმდეგ დუეს ორივე მხარეს მოვიგერიეთ. მტერი, რომელიც შეიჭრა ობენიეში, ჩვენი კონტრ-იერიშით ისევ განდევნილ იქნა. კამბრეს ჩრდილო აღმოსავლეთით მკაცრი შეტაკებებია. ლაონის ჩრდილოეთით და მდ. ენის ორივე მხარეს ჩვენ ახალი პოზიციები გვიჭირავს. შამპანში ბრძოლებმა საშუალება მოგვცეს მოგვეხდინა ახალი გადაჯგუფება.

ჰალვიცას ლაშქარი. მაასის ორივე მხარეს არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**ვენა**. იტალიის ფრონტი. ალაგ ალაგ საარტილერიო მოქმედებაა.

აღმოსავლეთ-სამხრეთის ფრონტი. ჩვენი ალბანიის რაზმები უკან იხევენ ბრძოლით. ნიშის აღმოსავლეთითაც ბრძოლაა, სადაც მონაწილეობას იღებენ აგრეთვე მოქალაქენი. მკაცრი ბრძოლებია აგრეთვე მდ. მორავის მიდამოებში.

**ბერლინი**. ოფიციალურად. იმპერატორმა მიმართა რეიხს-კანცლერს და პრუსიის იუსტიციის მინისტრს წარუდგინონ ხოლმე მას დასკვნანი სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოებისა.

გაზ. „ფორვერტსი" სწერს, რომ თუ საფრანგეთის მთავრობამ უარჰყო ზავის წინ დადება, მაშინ საფრანგეთის სოციალისტები მოვალენი იქნებიან თავისი სიტყვა სთქვან. ისინი ხშირად ამტყუნებდენ გერმანიის სოციალ-დემოკრატებს, რომ ეს უკანასკნელნი მტკიცედ არ აწარმოებენ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგო, ეხლა კი, თუ საფრანგეთის სოციალისტებმა ხმა არ ამოიღეს გერმანიის საზავო წინადადების შესახებ, გერმანიის სოციალ-დემოკრატებს ბევრი გასამართლებელი საბუთები ექნებათ.

ფინლიანდიის პარლამენტმა 1772 წლის კონსტიტუციის 38 §-ის ძალით მეფედ აირჩია ფრიდრიხ კარლი გესსენელი. ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ ეს ნაბიჯი გადადგმულია თვით ფინლიანდიის მიერ და სრულად დამოუკიდებელია გერმანიისაგან.

# საქართველოს პარლამენტი

11 ოქტომბრის სხდომა.

(დასასრული).

**ი. წერეთელი** *). ბ.ბო, ამ საკითხს აქვს ორნაირი მხარე: ფორმალური და არსებითი. აქ ყველა ფრაქციების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს და სუყველა ფორმალურ მხარეზე შეჩერდა. აქ ბრძანებდენ, რომ თუ რეგლამენტის წესით ჩვენ დავარღვიეთ მიღებული კანონი, მაშინ ჩვენში დამყარდება ისეთი წესი, რომელსაც ჩვენ რუსეთში ვებრძოდით სენატის სახითო. მაგრამ მოწინააღმდეგეებმა უნდა იცოდენ, რომ ჩვენი კონსტიტუცია ისეთია, რომ ჩვენი პარლამენტის უმრავლესობას არ დასჭირდება კანონების განმარტებებით დარღვევა-შეცვლა. იქ, რუსეთში საკანონმდებლო ორგანო ერთი იყო, სადაც ხალხის წარმომადგენლობის მსგავსება იყო მხოლოდ. ხოლო რაც შეეხება განმარტოებულ ორგანოს, იქ წმიდა მოხელეები იყვნენ გაბატონებულნი. ნუ თუ ვერ ხედავთ იმ განსხვავებას, რომ იქ უნდოდათ მოხელეების ხელით გაეკეთებინათ ის, რასაც პარლამენტის სახით ვერ გაატარებდენ? როცა ამბობენ, რომ აქ სენატის ამბები განმეორდებაო, მაშინ ივიწყებენ, რომ აქ პარლამენტი სცემს კანონებს და თვითონ უკეთებს განმარტებებს. და ის პოლიტიკური მოტივი „ნუ დაემსგავსებით სტოლიპინის სენატსო" მხოლოდ გარეგნულ სახეზე და მსგავსებაზეა დამყარებული ნუ თუ შეცდომა იქნება, რომ ამას დემაგოგია უწოდოთ? ჩვენში კი ხალხის წარმომადგენლობა აღჭურვილია მთელი ძალა-უფლებით და საჭიროება არ მოითხოვს, რომ მიკიბულ მოკიბული გზით კანონებს განმარტება გაუკეთოთ მაშინ, როცა პარლამენტს შეუძლია თავისი უფლებები განახორციელოს კანონმდებლობითი გზით. ჩვენ შეგვეძლო კანონის და არა რეგლამენტის სახით აქ წარმოგვედგინა ეს წინადადება და ამ უმრავლესობით გაგვეყვანა, გრძნობთ თუ არა ამას? (ხმები: „ვგრძნობთ".) სტოლიპინი, რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფილიყო, მაშინ მას სენატიც არ დასჭირდებოდა.

**შ. ქარუმიძე** ადგილიდან: გამბედაობა გაკლიათ, თორემ წარმოადგენდით კანონის სახით.

**წერეთელი** ჩვენ გამბედაობა სტოლიპინის წინააღმდეგ არ გვაკლდა და მას ვებრძოდით, რაღა თქვენს წინააღმდეგ დაგვაკლდა? ეს სასაცილოა. რათ იგდებთ ბატონებო ასეთ სასაცილო მდგომარეობაში თქვენს თავს? (ტაში. მარჯვნივ ხმაურობაა). რათ ღელდებით? თქვენ თუ გაძლევთ საშვალებას რამდენიც გინდათ იმდენი ილაპარაკოთ, რათ არ გინდათ ჩვენ რო მოგვისმინოთ? ჩვენ იმდენ ყურადღებას გაქცევთ, რამდენიც არ შეეფერება არც თქვენს დანიშნულებას და არც მდგომარეობას (ტაში). წინეთ თქვენ ამტკიცებდით, რომ თუ 7 ენაზე შეიქნა ლაპარაკი—ჩვენი პარლამენტი ბაბილონის გოდოლს დაემსგავსება და დაინგრევაო. დღეს კი ლაპარაკობთ რომ აუცილებლათ ყველამ თავის დედაენაზე უნდა ილაპარაკოს, თორემ პარლამენტი დაინგრევაო. გვაქვს თუ არა უფლება ის ქართული ანდაზა, რომელიც აქ ბ. გომართელმა მოიყვანა. თქვენვე დაგიბრუნოთ უკან და გითხრათ: ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო (ტაში). აქ ლაპარაკობდენ, რომ ეს დიდი პრინციპიალური საკითხი არისო. ბატონებო, პრინციპიალურად ეს საკითხი უკვე გადაწყდა, პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი, რომლის ძალით ყველა ერის წარმომადგენელს შეუძლია თავის დედაენაზე სიტყვა წარმოსთქვას. მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რომ ეს პრინციპი, თუ სავსებით განვახორციელეთ, ისეთი განწყობილება და მდგომარეობა შეიქნება, რომ მუშაობა შეუძლებელი გახდება. წარმოიდგინეთ, რომ უმცირესობათა წარმომადგენლებმა იდეალურათ იციან სამშობლო ენა და წარმოიდგინეთ, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა გამოსთქვეს თავიანთი აზრი მხოლოდ ერთი კითხვის გამო. მაშინ საჭირო იქნება 7 მთარგმნელი. ცხადია, თუ რაზომ გაჭიანურდება საქმე და მუშაობა გაძნელდება. საჭიროა მოვნახოთ აქედან გამოსავალი გზა. უმცირესობათა წამომადგენლებმა რომ ქართული იცოდენ, მაშინ, რასაკვირველია, ეს ენა საერთო ენა იქნებოდა. რატომ არ უწევთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ჩვენ 100 წელიწადს რუსეთის ნაწილი ვიყავით, რუსული ენის გავლენა დიდი არის და ის ინტერნაციონალურ ენათ ითვლება (მარჯვნივ ხმაურობა, თავმჯდომარე რამოდენიმე ჯერ წინადადებას აძლევს პარლამენტის წევრებს წესიერება დაიცვან, მაგრამ მაინც ხმაურობენ)

**თავმჯდომარე**: გთხოვთ დაიცვათ წესიერება, შენიშვნას გაძლევთ და თუ მესამე ჯერ განიმეორეთ...

**წერეთელი**. ჩვენ ხალხის ინტერესებს ვიცავთ, ხალხის ინტერესები კი მოითხოვენ, რომ მის, წარმომადგენელმა შესძლოს, როცა აქ მოვა თავისი ერის საჭიროებანი გაგვაგებინოს. სომხის ერის წარმომადგენლებმა კარგათ იციან თავიანთი ენა და უფრო კარგათ თავის სამშობლო ენაზე გამოსთქვამენ თავიანთ აზრს, მაგრამ მათი სურვილია, რომ ჩვენ გავიგოთ ისინი. წარმოიდგინეთ მათ მდგომარეობაში თქვენი თავი. დაუშვით, რომ თქვენ მოხვედით ერევანში სომხის პარლამენტში, გინდათ მათ გააგებინოთ ქართველი ხალხის საჭიროებანი, რას იტყოდით მაშინ, რომ თქვენთვის ეთქვათ ილაპარაკეთ მხოლოდ ქართულ ენაზეო? ხომ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებდათ ეს წინადადება? ჩვენ ვმუშაობდით რუსეთში, იქ რომ ჩვენთვის ნება დაერთოთ სამშობლო ენაზე ლაპარაკის, ჩვენ ამით არ ვისარგებლებდით, რადგანაც ჩვენ ვლაპარაკობდით იმ ენაზე, რომელიც ყველას ესმოდა. თქვენ რომ რუსეთში გაგეგზავნათ არა სოც. დემოკრატი, არამედ უკიდურესი ქართველი ზუბრი, მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ის ქართულ ენაზე არ დაიწყებდა იქ ლაპარაკს. ყველამ იცის, რომ თარჯიმანი ისე ვერ გააგებინებს ხალხს ორატორის აზრს, როგორც ამას თვითონ ორატორი მოახერხებს. დაშნაკელებს მე ბევრში არ ვეთანხმები, მაგრამ მოვიდენ აქ და ქართულ ენაზე წაიკითხეს დეკლარაცია. განა მათ ამით დაამცირეს თავისი ერის ინტერესები და ღირსებები? სრულიადაც არა. და ჩვენის მხრით უანგარიშობა იქნებოდა აქ მოგვეთხოვა სომხისათვის მარტო სომხურ ენაზე ლაპარაკი, თსისათვის მარტო ოსურად და ასე. ჩვენი პრინციპის სიწმინდე და სიფაქიზე ოდნავადაც არ შეიბლალება, იმით, თუ ჩვენ პრაქტიკულ მოსაზრებით ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს მივსცემთ საშუალებას ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელიც ყველას გაეგება. ისინი გვეუბნებიან, რომ ერთ ერთი უმცირესობის ენა ყველა მათგანს გაეგება, ჩვენც ვიცით და თუ ჩვენ ჩვენი ჟინიანობით მოვითხოვთ, რომ მათ ილაპარაკონ 7 ენაზე, ეს იქნება periat mineluz piat iustitia (დეე დაიღუპოს ქვეყანა, ოღონდ სამართლიანობა დარჩეს).

**ვეშაპელი**: საქართველო ხომ tabila raza-ა?

**წერეთელი**. დიახ, tabula raza ა, მაგრამ საქართველო ეს მარტო ქართველი ერის კუთვნილება არ არის, ის მთელ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ერებს ეკუთვნის (ტაში) დასასრულ მე უნდა ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა იმ ბრალდების შესახებ, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ წამოისროლეს, თითქოს ჩვენ შემოვიერთეთ პარლამენტში მუსულმანები და სომხები და მით შევქმენით უმრავლესობა. მაგრამ მე თქვენ გეკითხებით, რომ არ შემოგვერთდებოდა ისინი, ჩვენი არ იყო უმრავლესობა? (ხმები მარჯვნივ: „არა", „არა") ჩვენ გვაქვს უმრავლესობა პარლამენტშიც და ხალხშიც. (მარჯვნივ, ხმაურობაა. ხმები: „მართალი არ არის") თუ ვის მიყვება ხალხი ეს გვაჩვენა საერობო არჩევნებმა, (მარჯვნივ ხმაურობაა. რეპლიკებს უადგილოთ ისვრიან). თუ ამანაც არ დაგარწმუნათ თქვენ, მაშინ არ ვიცი, დემოკრატია იძულებული იქნებოდა მიემართა ფიზიკური ძალისათვის, რომ დაემტკიცებინა თქვენ თვის თავისი ძალა, მაგრამ თუ საქმე მივიდოდა ფიზიკურ ძალამდე, მაშინ არც ერთი შავრაზმელი, რომელნიც აქ სხედან, არ დარჩებოდენ ცოცხალი (ხანგრძლივი ტაში). (მარჯვნივ ისევ ხმაურობაა. უადგილო წამოძახილით ორატორს ხელს უშლიან).

**თავმჯდომარე**. უკანასკნელათ მოგიწოდებთ წესიერების დაცვისაკენ.

**წერეთელი**. მე ბედმა მარგუნა უფრო კულტურულ პარლამენტში ვყოფილიყავი, იქ რეპლიკებიც შინაარსიანი იყო და პასუხის გაცემაც შეიძლებოდა, აქ კი ყოვლად უშინაარსო, უადგილო ალაგას აკეთებენ რეპლიკებს.

და ჩვენი დემოკრატია, მიუხედავათ იმისა, რომ მას ამისთვის ძალა შესწევს, მაგრამ მაინც უარს არ ამბობს იმათთან თანამშრომლობაზე, რომელნიც ოდნავ მაინც ხელს უწყობენ საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცებას. დემოკრატიას არ ეშინია არც შავრაზმელების და არც აზნაურების. და ყველა ის, ვინც ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას ჩვენ მიერ სიხარულით იქნება მიღებული. დღეს ჩვენ შემოვიერთეთ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი. ჩვენ სინანული კი არა, დღესასწაული გვმართებს. დიახ ამ მიზნით ჩვენ ყველას სიხარულით მივიღებთ და შევუკავშირდებით (ტაში).

წინადადება შემოდის კამათის შეწყვეტის შესახებ.

**მ. მაჩაბელი**. ჩვენ იმიტომ ვუკეთებდით ამდენ რეპლიკებს წერეთელს, რომ ვიცოდით მისი სიტყვის შემდეგ კამათი შეწყდებოდა. ჩვენ წინააღმდეგი ვართ კამათის შეწყვეტისა.

**რ. არსენიძე**. მე არ ვიცი თუ რათ სჭირიათ კამათის გაგრძელება მოწინააღმდეგეებს. ჩვენს წინააღმდეგ ილაპარაკა 7 ორატორმა. ჩვენი ფრაქციიდან მარტო ერთმა. რა უყოთ თუ ყველაზე უფრო მჭერმეტყველურათ ილაპარაკა წერეთელმა, ტყუილად ფიქრობთ თუ სიტყვების სიმრავლით შთაბეჭდილებას გაანელებს. ყოველ შემთხვევაში თქვენ რისი გეშინიანთ? თუ 15 კაცმა მოითხოვა კამათის გაგრძელება, რეგლამენტის ძალით ხომ გაგრძელდება?

კენჭს ყრით კამათი გაგრძელდა.

**გ. გაგლოევი**. ბატონებო, აქ ტყუილად სცდილობენ კითხვას მისცენ პრინციპიალური ხასიათი. პრინციპიალურად ენის საკითხს შევეხეთ მაშინ, როცა ვარჩევდით კანონ პროექტს—სახელმწიფო ენის შესახებ. მაშინ სოციალდემოკრატებმა ერთხმათ გამოსთქვეს აზრი, რომ სახელმწიფო ენა უნდა იყვეს ქართული ენა, მხოლოდ ერთა უმცირესობას ნება უნდა ჰქონდეს სიტყვა წარმოსთქვამ სამშობლო ენაზე. მაშასადამე პრინციპის ღალატს ვერავინ გვისაყვედურებს ჩვენ ახლა ლაპარაკი უნდა იყვეს იმაზე, თუ როგორ გავატაროთ ხსენებული კანონი ცხოვრებაში. კანონში არის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ტეხნიკა ერთა უმცირესობათა ენის ხმარებისა უნდა განისაზღვრებოდეს რეგლამენტით. ამ ტრიბუნიდან ბევრს ცდილობდენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ნამეტნავათ ეროვნულ-დემოკრატებს დაემტკიცებინათ, რომ ჩვენი სოც.-დემ პროექტი ეწინააღმდეგება კანონს, მაგრამ ამის შესახებ კარგი პასუხი მიიღეს ამხანაგ წერეთლისაგან ამაზე მე აღარას ვიტყვი.

ყველაზე მეტს ბრაზობენ და ცხარობენ ეროვნულ დემოკრატები და მათ ბანს აძლევენ სხვა ნაციონალისტებიც. ეროვნულ-დემოკრატები სისტემატიურად ილაშქრებენ ჩვენ, სოციალდემოკრატების წინააღმდეგ, როცა კითხვა ეროვნებათა უმცირესობას ეხება. მაგალითად, ბ-ნი ვეშაპელი წინააღმდეგი იყო, რომ უმცირესობათა წარმომადგენლები შემოსულიყვნენ პარლამენტში, ტყუილათ გიკვირთ, ბ. [illegible] საქართველოდან [illegible] მოსულ [illegible] ვერას გახდით. საერთოდ უნდა გითხრათ, ბატონებო, რომ მე არაფერ განსხვავებას არა ვხედავ „რუს კავშირთა" და ეროვნულ-დემოკრატებს შორის. ისინი ამბობდენ, რუსეთი გვინდა რუსებისთვისო, ეროვნულ-დემოკრატებს კი უნდათ საქართველო მარტო ქართველებისთვის. მათი პოლიტიკა არის პოლიტიკა არა ქართველ ერთა წინააღმდეგ მიმართული, პოლიტიკა მტრობა და სიძულვილისა. მე მესმის, პსიხოლოგიურად გასაგებია, როცა 117 წლის განმავლობაში ჩაგრულნი და დევნილნი ძველ რუსეთისაგან ამ ტრიბუნიდან ნაციონალისტები ანთხევენ შურისძიების გრძნობას. მაგრამ ბატონებო, არ უნდა დაივიწყოთ, რომ ის იყო ძველი რუსეთი, რომელიც თქვენზე ნაკლებ არც ჩვენ გვეჯავრებოდა და თქვენზე მეტად ვებრძოდით რუსეთის დემოკრატიასთან ერთად. მაგრამ როცა ამ ტრიბუნიდან ილაშქრებთ რუსული ენის წინააღმდეგ, მაშინ უნდა გითხრათ, რომ ეს არის უკიდურესი შოვინიზმი. ამ შოვინიზმს ჩვენ, სოციალ დემოკრატები მუდამ ვებრძოდით და ახლაც ვებრძვით. დამახასიათებელია, რომ ამ მხრივ, ამ კითხვის გარშემო ჩვენ სოციალ დემოკრატები მარტონი დავრჩით და მტკიცეთ ვდგევართ ინტერ-ნაციონალურ პოზიციაზე. ჩვენი დროებით მოკავშირენი კი გადაგვიდგნენ. მე ვამბობ სოციალისტ-ფედერალისტებზე, სოციალისტ-რევოლიუციონერებზე და „ალიონისტებზე", რომლებმაც ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად გამოილაშქრეს ჩვენ წინააღმდეგ და ამით დაამტკიცეს, რომ ისინი არიან წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლნი. არ შემიძლიან არ შევეხო ბატონ გომართელის სიტყვას. იმან სთქვა, რომ ჩვენი პარლამენტის ტრიბუნა დემოკრატიის ბრძოლითაა მოპოვებული და ამიტომ დემოკრატიის წინააღმდეგ არ უნდა მოვიხმაროთ იგიო. მე ვეთანხმები ბ. გომართელს, რომ დემოკრატიის მოპოვებულია ეს ტრიბუნა, მაგრამ მას დაავიწყდა, რომ სწორეთ ეროვნულ-დემოკრატები და მათი მოკავშირენი გამოდიან საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ ამ ტრიბუნიდან.

ჩვენ სოც. დემ: გვინდა ისე მოვიხმაროთ უმცირესობათა ენა, რომ პარლამენტის საქმიანობა არ დაირღვეს. ყველამ რომ თავის დედა ენაზე ილაპარაკოს შვიდი თარჯიმანი უნდა გვყავდეს, ბევრი სხვა უხერხულობა ზედ ერთვის კიდევ ამას და მართლა ჩვენი პარლამენტი გადაიქცევა ბაბილონის გოდოლათ. რატომ არ გინდათ, რომ წვრილ ერთა წარმომადგენლებმა ილაპარაკონ ერთ ენაზე, ისეთზე, რომელიც გასაგები იქნება ყველესათვის. ამას თხოულობენ თითონ ისინი და რომ არ დავაკმაყოფილოთ, წინააღმდეგ წავალთ იმ ამომრჩევლებისა, რომლებმაც ისინი გამოგზავნეს. წარმოიდგინეთ,—რომელიმე მათგანს ამომრჩევლებმა, სწორეთ დემოკრატიამ, დაავალა მას გადასცეს პარლამენტს სიტყვიერათ ხალხის ჭირ ვარამი, მაგრამ ჩვენ მას ნებას არ ვაძლევთ გველაპარაკოს იმ ენაზე, რომელიც გასაგებია ყველასათვის.

მივდივართ თუ არა ამ შემთხვევაში დემოკრატიის წინააღმდეგ? მაშასადამე არის ორი პოლიტიკა. ერთი ეროვნულ დემოკრატების და მათი მოკავშირეების, რომელსაც მოჰყვება ისეთი უფსკრული ერთა შორის და მტრობას და ამ შემთხვევაში წვრილ ერთა წარმომადგენლებთან ერთად მუშაობა შეუძლებელი იქნება,—მეორე პოლიტიკა არის ჩვენი სოციალ დემოკრატიული პოლიტიკა, ინტერნაციონალური. ჩვენი ცდა მიმართულია ერთა სოლიდარობისაკენ და ერთად მუშაობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გასამტკიცებლად. ამიტომ თუ გინდათ წვრილ ერთა წარმომადგენლებთან ერთად მუშაობა უნდა მიიღოთ ის პროექტი, რომელიც წამოაყენა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ.

შემოდის წინადადება შესწყდეს კრება.

ს.-დემოკრატები და სომხის წარმომადგენლები წინააღმდეგი არიან კრების გადადების და უმრავლესობის ხმებით წინადადება უარყოფილია.

**ალ. ასათიანი** (ნ.-დ.) ეროვნული დემოკრატიული ფრაქციის სახელით იმედს გამოსთქვამს, რომ ასეთ შეცდომას საქართველოს პარლამენტი არ ჩაიდენს და უმცირესობის პროექტს უარყოფს.

**თავმჯდომარე**: წინადადება შემოვიდა კამათი შეწყდეს.

**ირ. წერეთელი** (ს. დ.) იცავს ამ წინადადებას და ობსტრუქციას უწოდებს ნ-დ. საქციელს. „ობსტრუქციის ნებას არავის მივსცემთ—ამბობს წერეთელი—და ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ეს ავლაგმოთო".

კამათის შეწყვეტის მომხრეა 34, წინააღმდეგი 19. კამათიც გრძელდება,

---

*) წერეთლის სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

...ლო ორატორთა სიტყვა 10 წუთით ...ნისაზღვრება.

შ. ქარუმიძე. (დამოუკიდ. ნ.-დ.) უსა-...ედურებს ს.-დემოკრატებს საქართვე-...ოს აღშენების უნარს და მოაგონებს ...ი. წერეთელს, თუ როგორ ზრუნავდა ... საქართველოზე, როდესაც რუსეთის ...ნისტრად იყავით. „ფოსტა-ტელე-...რაფის მინისტრი იყავით და მით ადრე ...ა ადვილად მიიღებდით დეპეშას, სა-...რთველოს საქმეებზე ზრუნვას რომ ...თხოვდნენ, და ჩვენ ლალატზე რომ ...უდამ ლაპარაკობთ, გაიხსენეთ თქვენი ...მხანაგები ფილიპე მახარაძე, საშა გე-...ეჭკორი: ასეთებს ჩვენში ვერ იპოვით". ...ორატორთა სია დახურულია.

გ. რცხილაძე (ს. ფ.). აქ წარმოდგე-...ილ საკითხს ორი მხარე აქვს—ფორმა-...ლური და არსებითი. მე მინდა ორი-...ეს შევეხო რადგან არც ერთი არ ყო-...ილა აქ გარკვეული, როგორც საჭიროა. ...ვენ რესპუბლიკას მოელის დიდი საფრთ-...ე. რადგან ჩვენ არ ვართ შეჩვეული კა-...ონის პატივისცემას, რაც პირველი პი-...ობაა სახელმწიფოს აშენებისა და გან-...ტკიცებისათვის. ყოვლად შეუძლებელია ...რევა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფ-...ლების. ის, რაც უნდათ დააკანონონ ...ელეს მენშევიკებმა ეწინააღმდეგება ძი-...ითად კანონს, რომელიც ჩვენ მივიღეთ. ...თელი პრაქტიკული არგუმენტაცია მი-...რთული იყო იმისკენ, რომ დაემტკი-...ებიათ, რუსული ენა უფრო გაადვი-...ებს დეპუტატებისთვის საქმესო. მაგ-...ამ რა აზრი აქვს იმას, რომ ჩვენ გავი-...ოთ ეროვნებათა უმცირესობის ნალაპა-...აკები, თუ ისინი ვერ გაიგებენ ჩვენ ...ართულ ლაპარაკს. ამას ჰქვია უკუღმა ...ოლიკა...

მ. მაჩაბელი. (დამ. ნაც. დემოკ.) ამ-...უკიცებს, რომ აღმოსავლეთ საქართვე-...ლოში მკვიდრმა სომხებმა კარგად ...იციან ლაპარაკი ქართულად, აგრეთვე ...თსებმაც, ამას გარდა უწინდელ მთავ-...რობის მეოხებით იმათ უფრო იციან ...თავიანთი სამშობლო ენა, ასე რომ ...პრაქტიკულად შესაძლებელია ამ საქ-...მის მოგვარება, ისე რომ არ ადგეს ...ისევ რუსული ენა. საქართველო უწი-...ნაც ლმობიერად ეპყრობოდა სხვა ...ეროვნებათა წარმომადგენლებს — ეს ...ველი მეფეების დროს დავითის და ...თამარის—მით უმეტეს მეტი გარანტიე ...ბი ექნებათ მათ დემოკრატიულ საქარ-...თველოში.

თავმჯდომარე: წინადადება შემოვი-...და შესწყდეს კამათი.

წინადადება არ გადის და კამათიც ...გრძელდება.

რ. გაბაშვილი. (დამ. ნ.-დემ.) ჩვენ ...გვემუქრებიან, რომ აგვლაგმავენ. პარ-...ლამენტში ეს შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია, და არც დავშინდე-...ბით. მოწინააღმდეგების დახვრეტა მათ პრაქტიკაში არის, მაგრამ მალე ეს შეუძლებელი იქნება. ჩვენ გვისაყვედუ-...რებენ, რომ არ ვიცით საქართველო მაგრამ ეს განა სასაცილო არ არის?..

...წინადადება შემოდის კრება 10 წუ...თით შესწყდეს. ყველა მომხრეა, გარდა ს.-დემოკრატებისა. კრება გრძელდება.

ი. გობეჩია (ს რევ.) იცავს უმრავლე-...სობის პროექტს.

ს. დადიანი (ს. ფ.) ველოდით, რომ გ. წერეთელი მაინც დაგვიმტკიცებდა წარმოდგენილ პროექტის საბუთიანობას, მაგრამ რამდენიმე ორატორმა არ ილა-...პარაკა, ვერც ერთმა ვერ დაამტკიცა ეს და ვერც გ. წერეთელმა.

მე მსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ...გ. გაგლოევის ჩვენ წინააღმდეგ გამო-...ლაშქრების შესახებ ს. ფედ., სოც.-რევ. და ალიონელები ნაც.-დემოკრატებს შე-...ურთდნენო: სულმა სული იგრძნო, ისი-...ნი წვრილ ბურჟუაზიულ პარტიას წარ-...მომადგენენო.' სოც.-დემოკრატებს არ შეფერის ამის თქმა, მით უმეტეს, ეხლა, როდესაც ხვალ-ზეგ მიწის საკითხი იქ-...ნება დასმული, სადაც თქვენ წმინდა წვრილ ბურჟუაზიულ ნიადაგზე დგეხართ.

მომხსენებელი არ. ჯაჯანაშვილი და რ. არსენიძე იცავენ თავიანთ პროექ-...ტებს.

თავმჯდომარე. საკითხს სვამს, თუ რო-...მელ პროექტს უყარონ კენჭი, რომ იგი დაედვას საფუძვლად.

ს. დადიანი (ს. ფ.) კენჭი უნდა უყა-...როთ მხოლოდ უმრავლესობის პროექტს.

გრ. ვეშაპელი. (დამოუკ. ნ.-დ.). რეგ-...ლამენტით მხოლოდ ერთი მოხსენების შემოტანა შეიძლება.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი ვეშაპელი მართალი ბძანდება. მაგრამ პრაქტიკაში ჩვენ ასეთი შემთხვევა უკვე გვქონდა. ღერბის პროექტი ორი იყო წარმოდგენილი.

ვიდრე კენჭის ყრა დაიწყებოდეს, გან-...ცხადებები შემოაქვთ მოტივებისათვის ფრაქციათა წარმომადგენლებს. რადი-...კალ დემოკრატები, დამოუკიდებელთა კავშირი, ნ.-დემოკრატები აცხადებენ, რომ უმცირესობის პროექტს თუ კენჭს უყრიან ისინი მონაწილეობას არ მიიღე-...ბენ და დარბაზს დასტოვებენ.

სოც. ფედ. აცხადებენ, რომ უმცირე-...სობის პროექტის განხილვის დროს წი-...ნააღმდეგ მისცემენ ხმას.

ალიონელები და ს. რევ. უარს ამბო-...ბენ ამ პროექტის მუხლობრივ განხილ-...ვაში მონაწილეობის მიღებაზე.

უმრავლესობის პროექტი უარყოფილია 46 ხმით, წინააღმდეგ 21-ისა.

უმცირესობის პროექტის მუხლობრივ განხილვის მომხრეა 46, წინააღმდეგი 6.

მიღებულია უმცირესობის პროექტი.

მიიღეს ს. ფედერალისტთა მოთხოვ-...ნით დამატება, რომ ეროვნულ უმცირე-...სობათა სიტყვები არ იქნას გადათარგ-...მნილი.

მეორე დამატება წარმოადგინა პარ-...ლამენტის წევრმა გაგლოევმა: ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს უფ-...ლება აქვთ განცხადებები შეიტანონ არა ქართულ ენაზე.

ა. ს.

# ახალი ამბები

პარასკევს, 18 ამ თვეს, თვითმარ-...თველობის დარბაზში, დანიშნულია შეერთებული სხდომა თფილისის კო-...მიტეტის და ყველა რაიონულ კოლექ-...ტივებისა. საოლქო კომიტეტის წევრები გააკეთებენ მოხსენებებს სხვადასხვა კითხვებზე, რომლებიც შეტანილია მომავალ პარტიულ ყრილობის დღის წეს-რიგში. ყველას დასწრება სავალ-...დებულოა.

◆ ვაჭრობა-მრეწველობის სამი-...ნისტრო აცხადებს: უკანასკნელ დროს ვრცელდება ხმები შესახებ იმისა, თით-...ქოს გერმანელებს გაჰქონდეთ ხორბალი და საერთოთ პური გერმანიაში, ამასვე უკიჟინებდა გენ. ალექსეევი საქართვე-...ლოს მთავრობის წარმომადგენლებს ყუ-...ბანის თათბირზე. ხსენებული სამინისტრო აუცილებელ საჭიროებათ სთვლის გა-...ნაცხადოს, რომ ეს ხმები სრულიადაც არ შეეფერება სიმართლეს და პურის გა-...ზიდვას გერმანელების მიერ საქართვე-...ლოდან ადგილი არა ჰქონია, თუ ხდე-...ბოდა გერმანელების მიერ პურის შეს-...ყიდვა, მხოლოდ ადგილობრივად მდგარ სამხედრო ნაწილების დასაკმაყოფილებ-...ლათ, პირიქით ამ დღეებში გერმანე-...ლები უკვე შემოტანილის გარდა კიდევ შემოიტანენ რამოდენიმე გემს პურს სა-...საქართველოს საჭიროებისათვის.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის გან-...კარგულებით ყოფილ მემამულეთა იმ ჯგუფიდან რომელნიც დატუსაღებულნი იყვნენ შავი რაზმის მოწყობისათვის, გაათავისუფლეს ვასილ ბაგრატიონ-და-...ვითაშვილი, ივ. ბეგთაბეგოვი და ალექ-...სანდრე დეკანოზიშვილი, ამ საქმისათვის დაატუსაღეს გრ. იოს. ჯავახიშვილი.

◆ ქალაქის საბჭოში. 14 ოქტომბ. ქალაქის საბჭოს კრებაზე გამოტანილ იქნა საპროტესტო დადგენილება ბაქო-...ში მომხდარ საზიზღარი ხოცვა ჟლეტის წინააღმდეგ. დაზარალებულთა ოჯახთა-...თვის საბჭომ გადასდო 50,000 მ.

◆ გერმანელი ინსტრუქტორები სამ-...ხედრო ნაწილებში. სამხედრო სამი-...ნისტრომ სთხოვა გენ. ფონ-კრესს სა-...ქართველოს სამხედრო ნაწილებში და-...ნიშნოს გერმანელი ინსტრუქტორები.

◆ ოსმალთა გასვლა ამიერ-კავკა-...სიიდან. სომხის დიპლომატიურმა წარ-...მომადგენელმა უკრაინაში ძამოიანმა დე-...პეშით აცნობა ჯამალიანს, რომ გერმა-...ნიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ოფი-...ციალურად აცნობა მას, რომ ოსმალებმა თანხმობა განაცხადეს გავიდენ იმ ტე-...რიტორიებიდან, რომელიც ბრესტ ლი-...ტოვსკის ხელშეკრულებაში არ შედის.

◆ სახელმწიფო კონტროლიორის პროექტი პარლამენტში. სახელმწიფო კონტროლიორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა წარუდგინა პარლამენტს მოხსენება: 1) სახელმწიფო კონტროლიორის დებულე-...ბისა; 2) კონტროლის დროებითი შტა-...ტებისა; 3) რევიზიის წესდების პროექტ-...თა დამტკიცების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია სხვათა შორის თუ რა სის-...ტემით სწარმოებს კონტროლი დასავ-...ლეთ ევროპაში.

◆ მიწის ნადელი. მიწათ მოქმედე-...ბის მინისტრმა წინადადება შეიტანა მთავრობაში გამომუშავებულ იქნას მი-...წის ნადელის ნორმა.

◆ პური. თფილისში სდგება პურის მცხობელთა ორგანიზაცია, რომელსაც განზრახული აქვს გამოაცხოს თეთრი პური 3 მ. 50 კ. გირ.

◆ გარეშე საქ. სამინისტრომ შუა-...მდგომლობა აღძრა ადერბეიჯანის დი-...პლომატიური წარმომადგენლის წინაშე, რომ აჰქალის შუშის ქარხნის გამგეს ნება დართოს ბათუმში წავიდეს ცეცხ-...ლის მიუკარებელ ნივთებისა და სხვა საჭირო საგნების შესაძენად.

◆ 18 აგვისტოს, თფილისიდან სამ-...ტრედიამდის მოგზაურობის დროს დავ-...კარგე: პირადობის მოწმობა, თოფის ტარების ნებართვა № 550, მოწმობა ან-...ტონ ალექსის ძე ვაშაკიძის სახელზე. მპოვნელს ვსთხოვთ მისთვის გამოუსადე-...გარი, ხოლო ჩემთვის საჭირო ნივთები დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: გო-...რის ქუჩა № 12, ანტონ ალექსის ძე ვა-...შაკიძეს.

◆ რკინის გზის მოძრაობის განყო-...ფილების უფროსმა აბულიშვილმა გან-...კარგულება მოახდინა, რომ ეპიდემიას-...თან ბრძოლის დასაჩქარებლად იმ პირთ, რომელნიც სამედიკო-სასანიტარო გან-...ყოფილებისაგან წარადგენენ მოწმობას, სამგზავრო ბილეთები რიგ გარეშე მი-...ეცემათ.

◆ სახოფლო კომისიაში სახალხო გვარდიის შტაბიდან მიღებული ცნობით, სამეგრელო გაწმენდილია ავაზაკებისა-...გან. მასიური გამოსვლა მთავრობის წი-...ნააღმდეგ არ ყოფილა; მომხდარი ამბე-...ბი მიეწერება სამურზაყანოდან გადმო-...სულ ყაჩაღებს. სამურზაყანოში საჭიროა ორგანიზატორებისა და პროპაგანდის-...ტების გაგზავნა.

◆ თათბირი შრომის სამინისტროში. გუშინ 15 ოქტომბერს დილის 9 საათზე შრომის სამინისტროში დაიწყო საერთო თათბირი საფინანსო და ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში და რკინის გზის მოსამ-...სახურეთა მდგომარეობის შესახებ. თათ-...ბირს დაესწრნენ ფინანსთა, გზათა, სა-...სურსათო და შრომის სამინისტროების წარმომადგენლები.

◆ საქართველოს ჯარის სამუსიკო ნაწილის გამგემ და მთავარმა ლოტბარ-...მა კ. ფოცხვერაშვილმა მოხსენება წა-...რუდგინა სამხედრო მინისტრს, რომლი-...დანაც სჩანს, რომ ამ ნაწილშიაც დიდი მუშაობა სწარმოებს. ამხ. ფოცხვერა-...შვილს ჯერჯერობით შეუსრულებია შემ-...დეგი: 1) დაუთვალიერებია თითქმის ყველა ჩვენი სამხედრო ორკესტრები და გამოურკვევია მემუსიკეთა და სამუსიკო საკრავთა რაოდენობა და ავკარგიანობა; 2) აუხსნია და განუმარტავს დამკვრელ ჯარისკაცებისათვის მუსიკის როლი სამ-...ხედრო საქმისათვის. 3) შეუკრებია, ჩაუ-...წერია, შეუდგენია და დაურიგებია ორ-...კესტრისათვის შემდეგი აუცილებლად საჭირო ქართული სამხედრო ჰიმნები: ქართული ეროვნული ჰიმნი, საბრძოლ-...ველი სიმღერა, ლოცვა ქართველი ერი-...სა, საზეიმო მარში, სამგლოვიარო ჰან-...გი, სასიგნალო და ბუკსაცემი კილოები და სხვანი. ფოცხვერაშვილი აღნიშნავს, რომ ეს მხოლოდ წვეთია იმ ზღვა მუ-...შაობისათვის, რომელიც უნდა გაჩაღდეს ამ მოკლე ხანში ჩვენი ჯარის საკეთილ-...დღეოთ და სთხოვს სამხედრო მინისტრს შესაფერ დახმარებას.

◆ მ. კავსაძის გუნდის კონცერტი. დღეს. ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს, მიხ. კავსაძის გუნდი მართავს ორ განყოფი-...ლებიან სახალხო სიმღერების კონცერტს ქართულ კლუბში. გუნდი შესდგება 30 კაცისაგან გამოწყობილი ეროვნულ ტანი-...სამოსში. სხვათა შორის გუნდი შეასრუ-...ლებს გლეხურ განყოფილებას სოფლის ცხოვრებიდან.

◆ სიღნაღის მაზრის კომისარის თანაშემწე ამხ. აკაკი ტყემალაძე დაი-...ნიშნა დუშეთის მაზრის კომისრათ.

◆ დანიშვნა. დ. აფხაზი დაინიშნა საქართველოს საქონლის გამცვლელ კო-...მიტეტის თავმჯდომარეთ.

◆ სამხედრო ექიმთა ყრილობა და-...ნიშნულია ამა ოქტომბრის თვრამეტში ადგილი და საათი გამოცხადებული იქ-...ნება მეორე დივიზიის შტაბში, დივი-...ზიის ექიმის კანცელარიაში (სამხედრო ქუჩაზე), სადაც ყრილობის მონაწილეო-...ბას შეუძლიანთ მიიღონ ყოველივე ცნო-...ბა ბინის და სხვა საკითხების შესახებ. ყრილობისთვის შემუშავებულია შემდე-...გი წეს-რიგი. 1) სამხედრო საექიმო სა-...სანიტარო და სამოქალაქო საექიმო სა-...სანიტარო საქმეების ურთიერთ შორის დამოკიდებულება საქართველოს რეს-...პუბლიკაში. 2) ჩვენი რესპუბლიკის ჯა-...რის სასანიტრო და საექიმო მდგომა-...რეობის მოწესრიგება და გაუმჯობესე-...ბა. 3) სამხედრო სასანიტრო მმართვე-...ლობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და ამ მმართველობაში საქმიანობის და სისტემის შეტანა: ა) სამხედრო ექიმთა პირადოვნული შემადგენლობა და ექიმ-...თა სამართლიანი განაწილება, გ) სამ-...ხედრო ექიმთა საბჭოს დაარსება სანი-...ტარულ მმართველობასთან, რომელიც სასანიტარო უფროსთან ერთად გაუძ-...ღვება მთელ სამხედრო საექიმო საქმეს რესპუბლიკაში გ) სასანიტრო საექიმო ქონებათა გამორკვევა, მოგროვება და საწყობების მოწყობა, მათი შენახვა და მიზან-შეწონილათ მოხმარება, დ) სა-...ფარმაცევტო საქმე, წამლების შეძენა მათი გამოწერის და ანგარიშის წეს-რი-...გის შეცვლა. ე) ფერშლები, მათი მომ-...ზადება და განაწილება. 4) ჯარის ნა-...წილებში სამკურნალოების და ქსენო-...ნების მოწყობა; სამხედრო გოსპიტ-...ლების მოწყობა და მათი დამოკი-...დებულება ჯარის ნაწილებთან 5) თფი-...ლისის გოსპიტალთან სამხედრო ექიმ-...თათვის გასამეორებელი კურსების მო-...წყობა სხვადასხვა საექიმო მეცნიერების დარგებში. 6) ექიმთა პერიოდიული კრე-...ბები. 7) საექიმო პერიოდული გამოცე-...მები.

◆ ბრძანება. თფილისის ქალაქის მი-...ლიციის უფროსმა წინადადება მისცა ყველა კომისრებს, რომ დაუყოვნებლივ დაითხოვონ სამსახურიდან ის მილიციო-...ნერები, რომლებიც სამსახურთან ერთად ვაჭრობასაც ეწევიან.

◆ ფეჩების გამოგონება. ერთ მღ. გვარათ პლუნენიკოვს, რომელიც სცხოვ-...რობს 7 სამილიციო ნაწილში, რეადო-...ვის ქ. № 22, გამოუგონია ახალი უბრა-...ლო ფეჩები და რკინის ფეჩის ჩარჩოები, რომლებიც სათბობი მასალის დიდ ეკო-...ნომიას აკეთებენ. ეს ფეჩები მალე გა-...მოვა გასასყიდათ.

◆ ხოლერა. უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 5 ხოლერიანი და 7 საეჭვო. მორჩა 5 კაცი, მოკვდა 2. სულ საავადმყოფოში დარჩა 39 ხოლერიანი და 9 საეჭვო ავადმყოფი.

◆ ებრაელთა ყრილობა 15 ღვინო-...ბისთვეს, თფილისის ებრაელების მიერ მოწვეულმა საქართველოს ებრაელების ეროვნულმა ყრილობამ დიდი მითქმა-...მოთქმა გამოიწვია ქართველ ებრაელებ-...ში და მათგან პროვინციის სხვა და სხვა კუთხიდან მრავალი საპროტესტო დეპე-...შები და წერილები მოდის ყრილობის საწინააღმდეგოთ.

◆ ლიუდმილა მეგრელიძისა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „სამანუფაქ-...ტურო ამხანაგობის საპაიო ფული, რო-...მელიც მას ებარა, უკან დაუბრუნდა პატრონთ, მასთან დარჩენილა ოთხი თუ-...მანი შემდეგი პირების: მარიამ გუჯა-...ბიძის, ნატალია შულიას, ანნა როყუ-...ვას და ეფროსინე ფილიას. აღნიშნულმა პირებმა ფული უნდა მიიღონ უკან მი-...სამართი: ფოთი, სომხის ქუჩა.

◆ სენი. საგურამოს რაიონში (დუ-...შეთის მაზრა) გაჩნდა რაღაც გადამდები ავადმყოფობა, რომლითაც დღეში 3—4 კვდება. მედიკო სანიტარული გამგეობის მთავარი გამგე ექ. მ. ო. ზანდუკელი გზავნის სანიტარულ რაზმს საგურამოს რაიონში გადამდებ ავადმყოფობასთან საბრძოლველათ.

◆ ტფილისის პოლიტეხნიკუმის რე-...ქტორი პროფ. ზახაროვი რუსეთში გა-...ემგზავრა. მისი თანამდებობის ასრულე-...ბას შეუდგა ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი ლამბაროვი. ლექციების კითხვა ახლად დამტკიცებულ ეკონომიურ ფა-...კულტეტზე ამ დღეებში დაიწყება.

◆ დატუსაღება. გარნიზონის უფრო-...სის ბრძანებით დატუსაღებულ იქნენ: პოლკ. გოგიტიძე, პოდპოლკ. ლეოხიძე და პორუჩ. ნაჭყეპია შაქრის სპეკულია-...ციისათვის. პრაპორშჩიკები: ციციგური, ჩიქოვანი და ჩიჩუა ალექსეევის ჯარში ჩასაწერათ წასვლის სურვილისათვის. პორუჩ. სანაია მკვლელობისათვის.

◆ ქურდობა. 13 ოქტომბერს ანას-...ტასია ტრონინის ბინიდან ანასტასია იურკოვსკამ მოიპარა სხვადასხვა ნივთე-...ბი 6045 მანეთის ღირებული.

დაჭრა. 13 ოქტომბერს მუშათა კლუბ-...ში უცნობ ოფიცერსა და საღამოს გამ-...გე კურნერის შორის პირადი ინტერე-...სებისათვის ლაპარაკი მოუვიდათ, ოფი-...ცერმა რევოლვერით დაჭრა კურნერი, ოფიცერი ტულუში და ერთიც უცნობი; ოფიცერი მიიმალა.

◆ ბოროტ მომქმედებთან ბრძოლა. 13 ოქტომბერს დილის 3 საათზე 19 თებერვლის ქუჩაზე სასტუმრო „შემა-...ხისთან" მილიციონერები ნაცვალიშვილი და კაზკროვი და რამოდენიმე ბოროტ-...გამზრახველებს შორის შეტაკება მოხდა მსხვერპლი არ ყოფილა. ბოროტ გამ-...ზრახველებმა გაქცევა მოასწრეს, მაგრამ იმავე დღეს დატუსაღებულ იქნენ რა-...მოდენიმე მათგანი, რომელნიც აღმოჩ-...დენ ა. სარქისიანცი, ხ. ასლანიანცი და ხ. ვართანოვი. უკანასკნელშია, აბრამო-...ვამ იცნო თავისი გამძარცველი, რომე-...ლიც გაძარცულ იქნა იმავე ღამეს და წაართვეს 13000 მანეთი ფულათ და 60,000 მანეთის სხვადასხვა საქონელი.

◆ კრეისერ „კაროლ-კარლზე" მყოფ მატროსებს, რომელნიც იმყოფებიან თფი-...ლისში გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან დარჩენილ ჯამაგირების გამოსარკვევად. (მოსკოვის ქუჩა, № 1). პრაკობი ბერძე-...ნიშვილი.

**ძ რ ე ბ ე ბ ი.**

ნაძალადევის სახლის კომიტეტების კრება ოთხშაბათს 16 ოქტომბერს მე-...თერთმეტე უბნის სასურსათო კომიტეტი თეატრ „ნაძალადევში" იწვევს ნაძალა-...დევის ყველა სახლის კომიტეტების თავ-...მჯდომარეების კრებას. დღიური წესრი-...გში დასმულია შემდეგი კითხვები: შა-...ქარზე, პურზე და მესამე 6 წევრის არ-...ჩევნები მეთერთმეტე უბნის სასურსათო კომიტეტში. კრება გაიხსნება 4 ნახ. საათზე და თუ ეს კრება არ შესდგა მა-...შინ საღამოს 5 ნახ. საათზე, რომელიც ჩაითვლება კანონიერათ რამდენიც არ უნდა დაესწროს.

— 1-ლი რაიონის ს. დ. მ. პ. ბიუროს შენობაში დანიშნულია კოლექტივის კრე-...ბა დღეს საღამოს 6 საათზე.

— დღეს სახალხო უნივერსიტეტში საღამოს 6 საათიდან წაკითხულ იქნება ლექციები მათემატიკიდან და ისტორი-...იდან აგრეთვე მეცადინეობა კონსერვა-...ტორიაში.

# მთავრობაში

საქართველოს მიწა წყალზე ფოსტა-...ტელეგრაფის კანტორების გახსნის შესა-...ხებ კანონ პროექტი მოწონებულ იქნა და დადგენილ იქნა წარედგინოს პარ-...ლამენტს.

—

მიხეილის საავადმყოფო და საბებიო ინსტიტუტი გადაეცეს საქართველოს უნივერსიტეტს საკლინიკო სამუშაოს სა-...წარმოებლად.

—

მთავრობამ დაადგინა: კახეთის რკი-...ნის გზის საზოგადოების აქციონერთა რებაზე დასასწრებლად მთავრობას წარ-...მომადგენლად დაინიშნონ: დ. აფხაზი, დუმბაძე, ი. დადიანი და ი. მაჭავარიანი

—

მიემატოს სატუსაღოების გარეგან და-...რაჯებს ჯამაგირზე იმდენი, რამდენიც შინაგან დარაჯებს.

—

დაევალოს ყველა სამინისტროებს 12 ღვინობისთვემდე წარმოადგინონ თავისი კანდიდატები საქონლის გაცვლის კომი-...ტეტის ასარჩევად. ჯამაგირები ხსენებულ კომიტეტში მოსამსახურეთათვის გან-...საზღვრულ იქნეს 1000—1500 მანე-...თამდე.

100,000 მანეთის ფონდიდან ფინან-...სთა მინისტრს გაეხსნას 19170 მანეთი და 80 კაპეიკის კრედიტი, თფილისის სახაზინო პალატის შტატს გარეშე დარ-...ჩენილ მოხელეთა ლიკვიდაციოდ.

—

გაეხსნას ფინანსთა მინისტრს იმავე ფონდიდან 2,300 მანეთის კრედიტი ოზურგეთის ხაზინის შესაკეთებლად.

# ბაქოში

ბაქოდან ჩამოსულმა, ყოფილმა შრო-...მის კომისრის ამხანაგმა არდიშვილმა, შემდეგი გადმოგვცა: „მდგომარეობა ბა-...ქოში ქართველებისა გაცილებით უკე-...თესია, ვინემ სხვა ერისა. ყველაზე უკეთ თათრები რუსებს ეპყრობიან. დაშნა-...კელთა პოლიტიკის წყალობით სომეხთა მდგომარეობა აუტანელია, მათმა დამ-...ღუპველმა პოლიტიკამ ყველა ელემენ-...ტები სომხების წინააღმდეგ აა ხედრა. ამბობენ, როდესაც ინგლისელები ქა-...ლაქს სტოვებდენ, ერთმა მათმა გენე-...რალმა განაცხადა, რომ სომხების კითხვა არ იქნება დასმული საერთაშორისო კონგრესზეო, ისე გააბრაზებინა ეს გენერა-...ლი დაშნაკელების პოლიტიკას. დახოცილ-...თა რიცხვი ჩვენ გვეგონა არ აღემატებო-...და 7—8 ათასს, მაგრამ როგორც გამო-...ირკვა, 20 ათას კაცამდე იყო დახოცილ-...დაჭრილი. გაძარცულია ქალაქი. წაიღეს ფულათ 150 მილ. აუარებელი ოქრო-...ვერცხლი გაზიდეს ასკერებმა. ასკერები სასტიკათ ექცევიან ყველას. ქუჩაში ბევრ ალაგას აღმართულია სახრჩობელები. ერთმა რუსის ქალმა განაცხადა პრო-...ტესტი ასეთი საშინელების წინააღმდეგ. და ის იქვე იქნა დახრჩობილი. ყოვე-...ლივე პოლიტიკური მაჯისცემა ქალაქში შეწყვეტილია, არის ტენდენცია შეუმ-...ცირონ ჯამაგირები მუშებს და მოსამსა-...ხურეებს. სანოვაგე თფილისთან შედა-...რებით 20 პროც. იქნება ძვირი. მთავ-...რობა ადერბეიჯანისაა, მხოლოდ მას არავითარ ანგარიშს არ უწევენ ასკე-...რები. ყოველისფერი ოსმალთა შტაბის ხელშია. თვით დამოკიდებულება ადერ-...ბეიჯანელ თათრებსა და ასკერებს შო-...რის ცუდია. მთავრობას არავითარი ფასი არ აქვს ხალხის თვალში. ხშირათ გაიგონებთ თათრებისაგან, რომ თუ ეს მთავრობა დარჩა, მაშინ ჩვენ ორიენტა-...ციას შევიცვლითო. მდგომარეობა კრი-...ტიკულია, მთავრობას ფული არ გააჩნია. საქმე აწეწილ-დაწეწილია, ხალხი დაში-...ნებულია მეტად".

# დახმარება ბრძოლაში

დახოცილ წით. გვარდიელთა ოჯახებს.

რევოლიუციამ ბევრი მსხვერპლი შე-...იწირა, ბევრი ოჯახი დარჩა უმწეოთ...

ნორჩი საქართველოს რესპუბლიკა ვერ დაივიწყებს გმირულად დაღუპულთ და მათ ოჯახებს.

ამ დღეებში საქართველოს პარლა-...მენტმა მოსპო და გააუქმა ის კანონ-...პროექტი, რომლის ძალითაც დახმარე-...ბას ღებულობდენ რეაქციონერები.

ახლა დადგა დრო ასეთი დახმარება დაკანონდეს მებრძოლთა ოჯახთათვის.

ამ დღეებში ეს საკითხი გაირჩა ჩვე-...ნი პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. ფრაქციამ ერთხმად დაად-...გინა: კონტრ რევოლიუციასთან ბრძო-...ლაში დახოცილთა ოჯახებს უნდა და-...ენიშნოს დახმარება.

ამისათვის ფრაქციამ მიანდო თავის ბიუროს, საჩქაროთ შეიმუშაოს კანონ-...პროექტი და ის შეტანილ იქნას პარ-...ლამენტში. ამ კანონ პროექტისთვის უნ-...და გადაიდოს სპეციალური თანხა, რომ-...ლიდანაც მუდმივი დახმარება მიეცემა დაღუპულთა ოჯახებს.

იმედია ჩვენი ნორჩი პარლამენტი უდაოთ მიიღებს და დაამტკიცებს ამ მეტის მეტად საჭირო და საჩქარო დახ-...მარების კანონ-პროექტს.

ამასთანავე ჩვენმა ფრაქციამ დაადგი-...ნა შემუშავებულ იქნას კანონ-პროექტი ავადმყოფ შტატ გარეშე დარჩომილ მუ-...შა-მოსამსახურეთა სასარგებლოთ ფონ-...დის დანიშვნის შესახებ: საჭიროა და საჩქარო რაც შეიძლება საჩქაროთ ეს ორივე კანონ-პროექტი დაკანონებულ იქნას. ეს კანონ-პროექტი ისეც და-...გვიანდა.

კეხაშვილი.

# წერილი რუსეთიდან

II

რაკი ნოვოროსის მთავრობასთან ვე-...რას გახდენ ჩვენი [illegible] წარმო-...მადგენლები, ამიტომ გადასწყვიტეს პი-...რადათ აეხსნათ ყოველივე ეკატერინო-...დარის მთავრობისათვის. 6 სექტემბერს ამხ. ჩინიჯიშვილი, ცინცაძე და მე ავ-...ვიჭურვეთ რა სათანადო მოწმობით გა-...ვეშურეთ ვოგზლისაკენ. სადგური სავსეა მგზავრებით. აქედან დღეში მხოლოდ ორი მატარებელი გადის და მგზავრე-...ბით ისე ივსება, რომ ფეხზე დასადგომ ადგილს ბედნიერი შოულობს. ფანჯრები დალეწილი, კარებს სახელურები არ აქვს, რბილი საჯდომის მაგიერ გაძარ-...ცული ფიცარი, ასაწევი საწოლის ადგი-...ლას მხოლოდ საწოლის ჩარჩო, წარმო-...იდგინეთ ბარგის მოსათავსებელი თავის ბადურებიც კი აღარსად სჩანს.

მატარებლები აქაც კუს ნაბიჯით მიდი-...მოდიან, 4 საათის ნაცვლად 12—14 საათს ანდომებენ. ძნელია იმ სურათის აწერა, რაც მე გზაზე ვიხილე: „თუ ვერ მოჰკლა ველური, შინ დაჰკალი ყვე-...რულიო". ბალშევიკებიც უბადლო გმი-...რები გამოდგენ შინაურ ყვერულებზე. სევასტოპოლისა და თავრიდის გუბერ-...ნიის სოც.-დემ. (მენშევიკების ცხადია) ორგანო „პრიბოი" (13 ოქტომბრის № 77) ასე ახასიათებს:

უნდა დავხოცოთ სუყველა,
ცეცხლს მივცეთ, გავანადგუროთ!
ნურვინ მოელის შებრალებას,
და არც არავის შეუნდობთ!
ტრახ, ტრახ, ტრახ!!!

ვისაც თავის თვალით არ უნახავს ის ვერ წარმოიდგენს თუ რა ონავრობა ჩაუდენიათ რუსეთში ამ სოციალისტებს. უცქერი გადაყირავებულ ტყვიით და-...ცხავებულ ვაგონებს, ვხედავ მდ. ყუბანზე იშვიათი ხელოვნების ხიდს დანგრეულს, ვხედავ გადამწვარ სახლებს, მესმის კვნე-...სა-ტირილი, ვხედავ აბარგებულ ხალხის მთელ „ქარავანს", მირბიან ემალებიან ბალშევიკების მახვილს, ვკითხულობ გა-...ზეთებს, რომლებიც სავსეა მათ მიერ ჩა-...დენილი მკვლელობით, მაგონდება ისპა-...ნიის ინკვიზიცია, მაგონდება სტოლიპი-...ნის რეჟიმი და ვამბობ რომ არც ერთი, არც მეორე ამათთან არაფერი არ არის.

დილით მიუახლოვდით მდ. ყუბანს, ხიდის დაზიანების გამო მატარებელი ამას იქით აღარ მიდის. მდინარის პი-...რათ დარაჯები დგანან, მგზავრებს ჩხრე-...კენ, ცს მეორეთ (ერთხელ ვაგონში) გა-...გვჩხრიკეს მდინარეზე ნავით გავედით და მერე ეტლით ქალაქში შევედით (მდინარიდან 2 ვერსზეა). ეკატერინო-...დარი ყუბანელ კაზაკების საამაყო ქა-...ლაქია, როგორც მისი ამტკიცებს, ეს ქალაქი ეკატერინე მეფის წყალობაა, მის პატივსაცემლად კაზაკებს ძეგლი აუ-...გიათ, ძეგლი ძვირფასი და იშვიათი ხე-...ლოვნების, მაგრამ ბალშევიკთა ბრბოს არც ეს ძეგლი დაუნდვია. თვით ქალა-...ქი მოზრდილი და კოხტაა, მდიდარი ყოველივე სიკეთით, განსაკუთრებით პუ-...რით. გირვანქა თეთრი პური ღირს 35 კაპეიკი.

ამ ჟამად ეკატერინოდარი ნამდვილ სამხედრო ბანაკს მოგაგონებს: გადარჩე-...ნილ ცნობილ გენერლებს თავიანთი ერთ-...გული ჯარით თავი აქ მოუყრიათ: აქ არის გენერალი: ალექსეევი, დენიკინი, დროგომიროვი, პოკროვსკი, ჩვენში ცნო-...ბილი ლიახოვი, კრასნოვი და სხვა. ესე-...ნი ბელადობენ „დობროვოლჩესკაია არ-...მიას", მათი მიზანია ძველი რუსეთის აღდგენა, ყუბანის კაზაკობას კი განაგებს არჩეული მთავრობა, რომელიც ჯერ-ჯე-...რობით მემარცხენეობს და მიზნად დაუსა-...ხავს ფედერატიული რესპუბლიკის დაცვა, ამ ორ მიმდინარეობის შორის სას-...ტიკი, მაგრამ ჯერ ფარული, ბრძოლაა და ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს. ბალშევი-...კებთან ბრძოლაში ორივე მთავრობა ულმობელია, მაგრამ პირველი ხომ თა-...ვის ბარბაროსობით თვით ბალშევიკებ-...საც არ ჩამორჩებიან. გენერლებში ყვე-...ლაზე მეტ სისასტიკეს პოკროვსკი იჩენს, რისთვისაც მისთვის „რისხვა" უწოდე-...ბიათ. ამ გენერლის შესახებ გადმოგცეს ერთი ნამდვილი ამბავი: ერთ სტანიცას გენერალმა მოსთხოვა ბალშევიკების მე-...თაურების გაცემა, მცხოვრებლებს მიუ-...ცემიათ ერთი პოლკოვნიკი და ორი სხვაც. მათი გასამართლება გენერალს მიუნდვია სტანიცების მიერ არჩეულ მსაჯულებისათვის (9 კაცისთვის) მსა-...ჯულებსაც გადაუწყვეტია 50 ათ-ათი „როზგის" დარტყმა, უკმაყოფილო გენე-...რალს ბალშევიკები იქვე აუკრავს ბოძზე, დაუხვრეტია, მსაჯულებისათვის კი 50 ათ-ათი „როზგი" დაურტყამს.

სასწავლებლები, სასტუმროები და დიდრონი სახლები ეკატერინოდარში სულ ჯარს აქვს დაჭერილი, ქუჩები სავ-...სეა ჯარისკაცებით, ეკლესიის გალავან-...ში წვრთნიან ახლად გაწვეულებს. ერთ დიდ ვეება შენობაში ოფიცერთა სასა-...დილოა და დღეში შიგ 3000 კაცი სა-...დილობს. მათ ემსახურებიან საზოგადო „მოღვაწენი".

ან. წულაძე.

# მუშათა შორის

**რესტორანსა და კლუბებში მომუშავენი.** მკითხველებს კარგათ მოეხსენებათ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ამ ბოლო დროს რესტორნების, კლუბების და სხვა დარგის მუშები იმ ამხანაგების წყალობით, რომლებიც გაურბიან ხსენებულ დარგის მუშათა პროფესიონალურ კავშირს. ამ ვაჟბატონებს რათ არ ახსოვთ, რომ ერთად ვებრძოდით ბრძოლა იმ „ხაზეინებთან“, რომლებიც იჩაგრებოდენ წინააღმდეგ ხსენებულ დარგის მუშებისა. სწორედ ის საიმედო ამხანაგები, რომლებიც ჩვენთან ერთად იბრძოდენ, დღეს სამწუხაროთ შორდებიან თავიანთ ამხანაგებს. ირაზმებიან ჯგუფ-ჯგუფად, ალებენ არტელებს და ამით არღვევენ საერთო კავშირის დადგენილებას. სწორედ ამ ბოლო დროს შეიკრიბენ გორგიჯანოვთან ერთი ჯგუფი რომელიც შესდგება არა ნაკლებ ორმოცი კაცისაგან და გამოეთიშნენ კავშირს. ამათ დეზორგანიზაცია შეაქვთ ჩვენ მასაში. ვეკითხებით იმ ამხანაგებს: რათ დასჭირდათ ასეთი პირობების შეკვრა. ნუ თუ არ შეეძლოთ იმ პირობებში ემუშავნათ, რომლებშიაც იმყოფებიან ხსენებული კავშირის სხვა წევრები?

ამხანაგებო, კავშირის წევრებო! ნუ შორდებით თქვენ კავშირს, თორემ ბოლოს ინანებთ. ჩვენ ამით ვაცხადებთ: ის ამხანაგები, რომლებიც იმყოფებიან გორგიჯანოვთან იქნებიან სამუდამოდ გარიცხულნი, რადგანაც არღვევენ საერთო კავშირის დადგენილებას.

პროფ. კავშირის გამგეობა.

# ს.-დემ. პარტიაში

**რკინის გზის სამმართველო.** რკინის გზელთა ყრილობის შემდეგ ეს პირველი სხდომაა სამმართველოს პარტიულ წევრთა კოლექტივისა, რომელიც შესდგა ამხ. ასათიანის თავმჯდომარეობით 8 ოქტომბერს. პირველად გაიხსნა კამათი რკ. გზელთა ყრილობის შთაბეჭდილებაზე. სხდომა მივიდა იმ დასკვნამდის, რომ თუ არ მივიღებთ მხედველობაში ყრილობის მიმდინარეობაში სხვადასხვა ნაკლულევანებას, მან ბევრი გააკეთა, სწორ ნიადაგზე დააყენა შემდეგი რკ. გზელთა პროფ. ორგანიზაციის საქმე, რითაც ბევრი ნაყოფიერება მოუტანა საქართველოს რკ. გზელთა და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა.

შემდეგ საკითხზე, რომელიც ეხებოდა ქალაქის საბჭოს დადგენილებას მთავრობასთან არსებულ საგანგებო რაზმის შესახებ, სხდომამ იქონია რა მსჯელობა არ შეუძლია აღშფოთებით და გულის წყრომით არ აღნიშნოს კადეტ-ესერ-დაშნაკელთა ბლოკის მუხანათური ნაბიჯები.

მეოთხე საკითხათ გარჩეულ იქნა თფილისის რკ. გზის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა პეტიცია, სადაც მოითხოვენ იაჩეიკის დაარსებას, შიგ ლექციების კითხვას და კოლექტივში მათი წარმომადგენლის ყოლას. კოლექტივის სხდომამ მიიღო რა ეს თხოვნა დაადგინა: არამც და არამც მათ ნება არ მიეცეს ცალკე, ჩვენ კოლექტივთან შეუთანხმებლად მოქმედებისა, რის მოსაგვარებლად და დასაფუძნებელათაც კოლექტივიდან გაგზავნილ იქნება მ. ფერაძე.

კოლექტივის სხდომამ ეგრედვე დაადგინა, იქონია რა მხედველობაში ის, რომ კოლექტივის ზოგი წევრები კრებაზე იგვიანებენ ან სულ არ მოდიან, ის წევრი კოლექტივისა, რომელიც სხდომის გახსნის შემდეგ მოვა ან სულ არ მოვა, ჩაითვლება როგორც სხდომაზე არ მოსული და სამსჯავროდ გადაეცემა საერთო კრებას და პრესაშიც.

მეშვიდე საკითხზე, შესახებ იმისა თუ ქართულ პარლამენტში არა ქართულ ერების წარმომადგენლებმა რომელ ენაზე ილაპარაკონ, მოხსენება გააკეთა ამხ. ასათიანმა. გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

საქარელი მ.

**ქ. გორი.** 4 ოქტომბერს შესდგა გორის მაზრის სოც. დემ. მუშ პარტიის ცენტრალური კომიტეტის კრება. დაესწრენ წარმომადგენლები ყველა რაიონებიდან გარდა სურამისა.

დღიური წეს-რიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან 2) საერობო არჩევნები ჯავა-ცხინვალის რაიონებში. 3) მაზრის პარტიული ყრილობის მოწვევა. 4) განცხადებები და მიმდინარე საკითხები.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ამხანაგები შესდგომიან ენერგიულ მუშაობას და ორგანიზაციების მოწყობას, რის გამოც ბორჯომში, ცხინვალში, წიფაში, გორში, ახალ-ქალაქში, ქვემო-ჭალაში და მეჯვრისხევში პარტიული ორგანიზაციები დამდგარა სასურველ ნიადაგზე. ქარელის რაიონის კომისარ მეფარიშვილზე, ცენტრის წინანდელი კრების წინადადებას უმოქმედნია და მეფარიშვილი შესდგომია არამც თავის მოვალეობის პირნათლათ ასრულებას, არამედ შესდგომია პარტიულ მუშაობასაც.

ჯავა-ცხინვალის რაიონებში საერობო არჩევნები მოხდება კვირას, 13 ოქტომბერს.

სამაზრო პარტიული ყრილობის შესახებ ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა მოხსენება ამხ. ნ. იმნაიშვილის და დაადგინა: გორის მაზრის პარტიული ყრილობა მოწვეულ იქნას ქ. ხაშურში ხუთშაბათს 17 ოქტომბერს. საღამოს 5 საათზე. დელეგატების პროპორცია კრებამ მიიღო შემდეგი: 1) თითოეული 50 წევრი ორგანიზაციისა გზავნის ყრილობაზე ერთ დელეგატს; 2) უკეთუ რომელიმე დამოუკიდებელ (ცალკე არსებულ) ორგანიზაციას ყავს 50 წევრზე ნაკლები, მაგრამ არა ნაკლები 30-სა, ისიც გზავნის ერთ დელეგატს; 3) 30 წევრზე ნაკლები ორგანიზაციები უერთდებიან მახლობელ ორგანიზაციებს და საჭირო ნორმის მიხედვით მათთან ერთად ირჩევენ დელეგატს. 4) თუ კი შეერთება ვერ აღწევს მაინც საჭირო ნორმას, მაშინ ასეთი ორგანიზაციებს აქვთ უფლება გამოგზავნონ დელეგატი ყრილობაზე სათათბირო ხმით. 5) ყრილობაზე დასწრება შეუძლიათ პარტიის ყველა წევრთ სათათბირო ხმით

ყრილობის დღიური წეს-რიგი: 1) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება. 2) მიმდინარე მომენტი: შინაური და გარეშე მდგომარეობა. 3) მოხსენებები ადგილებიდან. 4) სამაზრო ერობის თვითმართველობა, მუშაობის საერთო გეგმა. 5) საქართველოს პარტიული ყრილობის დღიური წეს-რიგის საერთო განხილვა. 6) პარტიული ორგანიზაციების გამრავლება,—გაძლიერება და თავის მოყრა. 7) სამხედრო საქმეები: ა. სახალხო გვარდია, ბ) ჯარის მობილიზაცია, გ.) სოფლებში იარაღის აყრა და გ) დეზერტირობასთან ბრძოლა. 8) კულტურული მუშაობა სოფლათ. 9) პროფესიონალური ორგანიზაციობის მოწყობის საქმე მაზრის ქალაქებში და დაბებში. 10) მიწის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები. 11) ადმ ნისტრაციის მოწყობის საქმე სოფლათ. 12) მიმდინარე საკითხები და განცხადებები. 13) ცენტრალური კომიტეტის არჩევა.

ცენტრალური კომიტეტის კრებაზე შემოვიდა განცხადება 1) ამხ. ბაბლიძისაგან შესახებ სოფ. წრომში მომხდარ შაქრო გიორგის ძე ტატიშვილის საზიზღარი მკვლელობის შესახებ, რომლის გამო ცენტრალური კომიტეტის კრებამ წინადადება მისცა სამაზრო ადმინისტრაციას მოახდინოს სწრაფი და სასტიკი გამოძიება ხსენებულ მკვლელობის შესახებ და დამნაშავენი გადაცემულ იქნას სათანადო დაწესებულებაზე დასასჯელათ. 2) ქვემო-ჭალის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი ამხ. ნ. კაციაშვილი თანახმათ მისი თხოვნისა გადაყვანილ იქმნა ცენტრის მიერ იმავე თანამდებობაზე ახალქალაქის რაიონში 1 ნოემბრიდან.

გომის კომისარმა ვ. ბურბუთოვმა ითხოვა ცენტრის კრების წინაშე პატივება, მის მიერ ჩადენილ დანაშაულობებისა, მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა წინანდელი კრების დადგენილება ბურბუთოვის შესახებ დასტოვა ძალაში და არჩეულ იქნა კომისია ბურბუთოვის მოქმედების გამოსაძიებლათ. კომისიაში არჩეულ იქმნა ცენტრის მხრივ ამხ. ნ. პატარიძე და ერთიც უნდა დაუმატოს მაზრის ადმინისტრაციამ.

ვალიკო.

**ბორჯომი.** ენკენისთვის 29-ს მუშათა უბანში (ჩოჩხის წყალზე) მოხდა, ს.-დ. მ. პარტიის საზოგადო კრება. დღიური წესრიგი იყო: 1) მომენტი, 2) საწევრო გადასახადი, 3) ორგანიზაციების მოწყობა, 4) კომიტეტის არჩევნები, 5) პარტიის ანგარიშის ჩამორთმევა. მომენტზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. ახალაძე. იქონიეს რა მსჯელობა ზემო აღნიშნულ კითხვებზე დაადგინეს შემდეგი; 1) ჩამოერთვას ძველ პარტიულ კომიტეტს ყოველგვარი ანგარიშები და წარედგინოს პარტიულ კრებას, 2) თვითეული პარტიის წევრი ვალდებულია შეიტანოს საწევრო გადასახადი წარსული თვეების ორ-ორი აბაზი თვეში, პირველ ოქტომბრიდან ერთი მანეთი თვეში, 3) არჩეულ იქნა პარტიულ კომიტეტში, ცხრა კაცი: ნ. დევიძე, კ. შახნაზაროვი, ს. კოვიძაძე, ვ. ზაქრაძე, არ. ელისაშვილი, ა. ლონაძე, კ. ლომიძე, პ. მიქაბერიძე, მ. ალექსიძე. კრებამ დაავალა კომიტეტს თავის კრებაზე კოოპტაციის საშუალებით მოიწვიონ მოწინავე ამხანაგები, და კომიტეტს ენერგიული მუშაობით აღადგინოს ძველი დანგრეული ორგანიზაციები, როგორც საქარხნო, ისე სასოფლო

კ. დინჯაძე.

**სუფსა** (გურია). 5 ოქტომბერს შესდგა სუფსის კოლექტივის კრება. წარმომადგენლები დაესწრენ შემდეგი ადგილებიდან: ხაჯალიიდან, ახალ-სოფლიდან, ტაბანათიდან, ბაზრიდან, ხიდმაღალაიდან, ორმეთიდან და წყალ-წმინდიდგან. დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გურიის ცენტ. კომიტეტის წევრისა, 2) წევრების მიღება, 3) იარაღის აკრეფა სოფლად, 4) პარტიული მუშაობა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გურიის ცენტ. კრებაზე არჩეულ იქნა სამაზრო ერობის პრეზიდიუმი. გადაწყვეტილია ვაზნარში დახოცილ ამხანაგების სასაფლაოზე ძეგლის აგება. სამკითხველოს აშენება და სხვ. გადაწყდა საოლქო ყრილობაზე გაიგზავნოს დელეგატი. პარტიაში მიღებულ იქნა რკინის გზის იაჩეიკიდან 6 კაცი და ახალ-სოფლის იაჩეიკიდან 4 კაცი. იარაღის აკრეფის შესახებ დაევალა ყველა პარტიის წევრებს თუ კი მათ მოეპოვებათ იარაღი—ერთი კვირის განმავლობაში ჩააბაროს მთავრობას. პარტიულ მუშაობის შესახებ კრებამ დაადგინა სასწრაფოთ იქნას მოწვეული პარტიის იდეური ხელმძღვანელი, რომელიც დაუყონებლივ უნდა შეუდგეს მუშაობას.

ძველი მებრძოლი.

# პროვინცია

**ქართლი.** ხაშურში შესდგა ქალთა წრე, რომელიც ამ მოკლე ხანში ხსნის იაფფასიან სასადილოს კოოპერატიულ ნიადაგზე. შენობა უკვე იქირავეს და საჭირო თანხაც შეგროვილია. საქმის ინიციატივა ეკუთვნის ჩვენი პარტიის წევრ ქ ლებს.

— სამაზრო ჯარის მოჭკრები საკრებული ჩამოვიდა ქ. ხაშურში 7 ოქტომბერს და 8 ოქტომბრიდან უკვე შეუდგა ჯარში გასაწვევ ახალგაზდათა შეკრებას

— ამ ბოლო დროს ძლიერ მოიკიდა ფეხი სოფლად ყაჩაღობამ, ძარცვა გლეჯამ და ქალების მოტაცებამ. ამ საქმეების მეთაურებათ გამოდიან უმთავრესათ ძველი ნასალდათარები და დეზერტირები. საჭიროა სამაზრო ადმინისტრაციამ დიდი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და მიიღოს ჩქარი ზომები ბოროტების სისწრაფით აღმოსაფხვრელათ.

სოფ. ისიაურში დახოცილ თავადების ვეზირიშვილების მამულები ხალხმა უკვე დაინაწილა. მამულები მეტ ნაწილათ უმამულო გლეხებს მისცეს.

— ქართლის სოფლებში ხოლერა და სხვა გადამდები სენი თანდათან ვრცელდება. ხოლერამ დიდი ზარალი მიაყენა სოფელ აბანოს, სადაც ლამაზი ხალხი დაიხოცა. ამის ნიშნებია აგრეთვე სოფელ მოხისში. საჭიროა საექიმო დახმარება.

— სოფ. წრომში ამ ათი დღის წინათ, ბნელმა ძალებმა მოჰკლეს თავის ვენახში, მეტად პატიოსანი და შრომის მოყვარე ახალგაზდა შაქრო გიორგის ძე ტატიშვილი. მკვლელები მიიმალნენ და ჯერ ჯერობით მათ კვალს ვერ მიაგნეს.

ნიკო გურული.

**ს. პერევისა.** (ზემო იმერეთი). სოფელ პერევისაში ამ ორი სამი წლის წინად არავითარი კულტურული დაწესებულება არ იყო და დღეს კი აქ ნახავთ გარდა იმ ერთ კლასიან სამინისტრო სკოლისა, რომელიც ძალიან დიდი ხანია მუშაობს, უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს, საკვირაო სკოლას (თუმცა ამ ჟამად არ მუშაობს), დუქანს კოოპერატივ „საშუალებას“ და სცენის მოყვარეთა საზოგადოებას. გადაწყვეტილია ადგილობრივი ინტელიგენციის და მოწინავე ელემენტების მიერ, რომ გაიყვანონ ქალაქ ჭიათურიდან ელექტრონის სინათლე და შეერთდენ ჭიათურასთან ტელეფონით და უკანასკნელისათვის მავთული უკვე მოტანილია. აგრეთვე განზრახული იყო ამავე წლის ზაფხულში აშენებულიყო საზაფხულო თეატრი, მთელი დრამატიული საზოგადოების დახმარებით, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ჯერჯერობით ეს სისრულეში მოყვანილი არ არის. საჭიროა კი მისი მოყვანა სისრულეში.

ვიქ. მოქალაქეშვილი.

**ს. შემოქმედი** (გურია). 21 სექტემბერს შესდგა შემოქმედის მომხმარებელ საზოგადოების „ეკონომია“-ს წევრთა მორიგი კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება ანგარიშების შესახებ; 2) სახარაზოს გახსნა და 3) გამგეობის არჩევნები.

ანგარიშების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. დიომიდე მენაბდე, რომლიდანაც გამოირკვა შემდეგი: 24 იანვრიდან ამა 1918 წლისა 15 ივნისამდე დუქანს მოუგია 7,471 მ. 63 კ. ხარჯები ჰქონია 5242 მ. 77 კ. წმინდა მოგება დარჩენია 2.228 მ. 86 კ.

გამგეობის მიერ წამოყენებული ანგარიშები დადასტურებულ იქნა სარევიზიო კომისიის მიერ.

სახარაზო განყოფილების მოქმედების დროებით შეჩერების მიზეზათ გამგეობამ შემდეგი გვაცნობა: სახარაზოში ნოქრათ მოწვეულ იყო თავისივე სურვილით ი. ფირცხალაიშვილი, რომელსაც აგრეთვე ყოველივე საჭირო იარაღები გააჩნდა. მის სახარაზოში ყოფნის დროს მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობდა, ხოლო როცა იგი წავიდა სახარაზო მიიხურა. კოოპერატივს არ გააჩნდა სახარაზო მოწყობილობა საკუთარი და დღეს ეს შეუძლებელი შეიქნა და სახარაზო განყოფილებამაც მოქმედება განაახლა. სახარაზოს უქონლობის გამო კრებამ დაადგინა მიემატოს საბაჭკელეინო და სახარაზო განყოფილებათა წევრთ პაის 10 მანეთი და ვინც თავის დროზე (ერთი თვის განმავლობაში) პაის დამატებითი ფულს არ შემოიტანს სახარაზო განყოფილებით ველარ ისარგებლებს. გამგეობას უფლება მიეცა საჭიროებისამებრ აიღოს სესხი. გამგეობის თავმჯდომარეს თვიურად მიეცა 300 მ.

წევრი.

**ს. წინანდალი** (კახეთი). ერთი წლიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც წინანდალში დიდის ვაივაგლახით დაარსდა სამკითხველო. აღსანიშნავია, ის რომ ამ სოფელს ბლომად ჰყავს ინტელიგენცია, მაგრამ სრულებით შეუკავშირებელი. საზოგადო საქმისთვის არავითარ ყურადღებას არ აქცევს კულტურულ დაწესებულებას და არც ზრუნავენ, რომ შეიტანონ ხალხში სწავლა-განათლება. ამის დასამტკიცებლად მე სხვათა შორის მომყავს საბუთად ის, რომ სამჯერ იყო დანიშნული კრება სამკითხველოს შემოსავალ-გასავლის შესახებ და ორ წინასწარ კრებებზე არც ერთი წევრიც არ დაინტერესდა და არ გამოცხადდა; მხოლოდ 30 ენკენისთვეს, მესამე კრებაზე გამოცხადდა წევრთა ერთი მესამედი. განა რას უნდა მივაწეროთ ასეთი საქციელი? უფრო იმას, რომ აქაური ინტელიგენცია ძალიან გულგრილად შესცქერის ამისთანა საქმეს და არავითარ ყურადღებას არ აქცევს მას. სამკითხველო ბევრს გასაჭირს განიცდის, როგორც ახლად დაარსებული და დიდი მოწყესრიგებაც სჭირდება მ ს. თანხაც არ აქვს იმოდენა, რომ იმით მაინც დადგეს თავის დონეზე ამ სიძვირეში. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მოხდა წლიური კრება: და აღმოჩნდა, რომ სამკითხველოს მთელი წლის განმავლობაში ჰქონდა შემოსავალი 1778 მან. 64 კ.—გასავალი კი 622 მან. და 50 კ., რომლითაც შეიძინა მცირე ოდენი წიგნები და გაზეთები. ახლაც რადგან იმოდენი არ დარჩა რა; სამკითხველო იწერს მხოლოდ სამ გაზეთს „ერთობას“, „სახალხოს“ და „საქართველოს“.

წევრთა რიცხვი იყო 34 სული. წიგნებით უსარგებლია წლის განმავლობაში 170 სულს. შემდგომ კრებამ აირჩია ახალი გამგეობის შემადგენლობა და კრება დაიხურა. სამკითხველოს არსებობის წყაროს შეადგენს მხოლოდ საწევრო გადასახადი და წარმოდგენების გამართვიდან შემოსული ფული, ამასთანავე ვსთხოვთ ყველას შეგნებულ ადამიანს ნუ დაიზურებენ და შემოსწირონ, რაც კი შეუძლიანთ, ახლად დაარსებულ სამკითხველოს, შემდეგი მისამართით. ქალ. თელავი. წინანდლის ერისვნული მამული. სასოფლო სამკითხველოს.

სამკითხველოს გამგეობა.

# წერილები რედ. მიმართ

გაზეთ „ერთობის“ № 210 მოთავსებული იყო წერილი ი. დოლანაძისა, რომელიც მთხოვდა შემეტყობინებინა მისთვის თუ რა იქნა მის მიერ შეგროვილი 150 მანეთი. უნდა მოგახსენოთ, რომ ბ. ი. დოლანიძეს არავითარი ფული არ შეუგროვებია და არც გადმოუცია ჩემთვის. ფული შევაგროვე მე, ნატანების ფრონტისთვის თამბაქოს შესაძენათ, მაგრამ რადგანაც ის ფრონტი მალე დაიშალა და ჯარის კაცები სახლში დაბრუნდნენ, მე განზრახვა სისრულეში ვერ მოვიყვანე. მივმართე რკინის გზის მთავარ კომიტეტის ერთ წევრს, რომელიც აგროვებდა გურიის დაზარალებულ ოჯახისათვის ფულს, ვკითხე მას ვისთვის გადამეცა ეს მოგროვილი ფული. მან მირჩია გადამეცა ფული გურიის დამხმარე კომიტეტისთვის, მაგრამ რადგანაც შემოწირულთა სია ხელთ არ მქონდა განზრახვა სისრულეში ვერ მოვიყვანე დროზე *) ეს შეუძლია დაამოწმოს, რკინის გზის მთავარ კომიტეტის წევრმა. აგრეთვე ვაცხადებ, რომ ი. დოლონაძე სრულებითაც არაა სადგ. კასპის მოსამსახურე.

სადგ. კასპის უფროსი ბეს. დოლონაძე.

# ცნობები

ჯარის კაცი კონსტანტინე ჭიპაშვილი იმყოფებოდა თათრის ფრონტზე 16 კავკასიის მსროლელ პოლკში, 2 როტაში, 3 „ვზვოდში“ 1916 წლის მარიობისთვის აქეთ არაფერი ცნობა არ გვაქვს. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით შეგვატყობინოთ. მისამართი: დაბა ბელაგორში ვიქტორ სიმონის ძე ჭიპაშვილს.

*) რედაქციამ მიიღო კვიტანცია, საიდანაც სჩანს რომ ბ. დოლონაძეს გადაუცია ხსენებული ფული (156 მ. 20 კ.) გურიის დამხმარე კომიტეტისთვის. შემომწირველთა სიას უქონლობის გამო ვერ ვბეჭდავთ.

რედ.

# ფოსტა

**მიმქრალს.** თქვენი წერილი, რომელშიაც „ტანჯულ მუშას“ უმტკიცებთ თქვენი ლექსის „მდინარე“-ს მითვისებას უნდა გაუგზავნოთ ჟურნალს „თეატრ და ცხოვრებას“, რადგან ორივე ჯერ იქ ყოფილა მოთავსებული აღნიშნული ლექსი.


# განცხადებანი

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.** სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეზხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეზხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კბილის საექიმო კაბინეთები
**თეოდორე ხაჭვარელის ძე ცხოველიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი
**ლ. ა. სარალიძე**
ღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ცვება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**მიხეილის ქირურ. სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეზხაპუნება. 606 და 914 შეზხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

[illegible]
ექიმი ხპირიდონ დიმ. [illegible]
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე.
მისამართი: [illegible]

ფენგტენის [illegible] სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. ვ. ლევინშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭპებების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
ღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სიმონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**ექიმი ბ. გ. მუხაძე**
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოთ 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: [illegible] მთავრის ქ. № 57; [illegible] შენობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელ. № 5—77

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

ექიმი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
**პეპელიასი**
ღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606-ის შეზხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**მედ. ქალი რ. ხ. შიშლო-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს ხანებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრთან არსებული
**ქართ. დრამატ. ხელოვნების სტუდია**
სტუდიაში ასწავლიან ყველა საგნებს დრამატიულ ხელოვნებასთან დაკავშირებულს და აგრეთვე რითმიულ გიმნასტიკას (ჟაკ დალკროზის სისტემით. მატინიონ ზალცმანის ხელმძღვანელობით). მიიღებიან ქალ ვაჟნი 15 წლიდან 30 წლამდე. მსურველთა განცხადება უნდა შემოიტანონ სახელმწიფო თეატრში ყოველ დღე 11—2 საათ. მიმდინარე თვის 25 რიცხვამდე.
სახელმწ. თეატ. კომისარი ალ. წუწუნავა.
(6—1)

**საჩქაროდ იყიდება**
„ჰანცელნი“ რკინის კასა წონით 40 ფუთი
ფაბრიკა ე. ფეილისა.
ოქრომჭედლების ქუჩა № 9.
(2—2)